აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, სამინისტროს მმართველობის სფეროსა და კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებების 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური

პრიორიტეტის დასახელება: ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა

პროგრამის დასაბუთება:

წარმატებული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საყრდენს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და ქვეყნის მომავალში რესურსების ინვესტირებაა. შესაბამისად, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას და ხელს უწყობს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების დანერგვას აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებულ ტერიტორიაზე-გალის რაიონში განთავსებულ სკოლებში. სამინისტრო მოწოდებულია ახალგაზრდებს შეუქმნას ხარისხიანი განათლების მიღებისათვის სათანადო სასწავლო გარემო პირობები, რაც ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, შესაძლებლობების სათანადოდ წარმოჩენას, მათი საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესს და სხვ.

განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად დასახული მიზნები:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო და აღმზრდელობით სფეროში დასაქმებულთა პროფესიული განვითარება;
- ინფრასტრუქტურული, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გაუმჯობესება;
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულების განვითარების ხელშეწყობა;
- სამშვიდობო პოლიტიკის დანერგვა და ახალგაზრდების მხარდაჭერა;
- შშმ მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- გალის რაიონში მცხოვრები სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა;
- განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პროცესებში მონაწილეობა;
- მოსწავლეთა თვითრეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა, მოსწავლეთა წახალისება და მოტივაციის გაზრდა და ა.შ.

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სამინისტროს შესაბამისი სამსახური ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- განათლების ხელშეწყობის პროგრამა (06 04);
- გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 09).

2024 წელს, ქვეპროგრამების შესაბამისად, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 09)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აფხაზეთში, დარჩენილ მოქალაქეებს რთულ პირობებში უწევთ ცხოვრება. ისინი მუდმივად განიცდიან ზეწოლას დე ფაქტო ხელისუფლებისა და საოკუპაციო ძალების მხრიდან. მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორისა, გალის რაიონში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, მუსიკალური და სამხატვრო სკოლები, რომელთა პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური მუშაკები ემსახურებიან იქ დარჩენილ თანამოქალაქეებს. უაღრესად მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოღვაწე ადამიანთა წახალისება. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, აფხაზეთის მთავრობის მიზანს წარმოადგენს ოკუპირებული გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მუსიკალური და სამხატვრო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ფინანსური დახმარების გზით.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ოკუპირებული გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და მუსიკალური და სამხატვრო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება, რაც ხელს უწყობს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შედეგი:

„გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამის“ ფინანსდება გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, მუსიკალური და სამხატვრო პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი (81 პედაგოგი, 94 ტექპერსონალი).

გეგმა: **475 370** ***ლარი;***
ხარჯი: **472 235** ***ლარი;***
შესრულება: 93/3%.

„სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“

(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 01)

პროგრამის დასაბუთება

ზოგადი განათლების სისტემის რეფორმა ითვალისწინებს საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესს, რაც სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ინფრასტრუქტურულად გამართული გარემოს შექმნას გულისხმობს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განთავსებული 13 საჯარო სკოლა, რომლებიც საჭიროებენ ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში მოქმედი 30 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა. სკოლების არსებული მწირი ბიუჯეტი არ იძლევა აუცილებელი რესურსების, მათ შორის, საჭირო საკანცელარიო ნივთების შეძენის შესაძლებლობას.

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის ფარგლებში, სკოლების საჭიროებებიდან გამომდინარე სკოლებისათვის გამოიყოფა თანხა სასწავლო პროცესისათვის, სასკოლო და სახელოვნებო ღონისძიებების უზრუნველყოფისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების, ინვენტარის, საკანცელარიო ნივთების, თვალსაჩინოებების, კლასგარეშე დამხმარე ლიტერატურისა და ასევე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საჭირო მასალების შესაძენად.

შედეგი:

- ოკუპირებული გალის რაიონის 30 საშუალო სკოლისთვის შეძენილ იქნა და გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეცა 4079,10 ლარი ღირებულების საკანცელარიო ნივთები;

- ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის სივრცის ავეჯით უზრუნველყოფის მიზნით სსიპ-ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლას გამოეყო 5 920 ლარი;

- გალის რაიონის საბერიოს N2 საშუალო სკოლისთვის გამოიყო 32 783,50 ლარი, სკოლის შენობის გადასახურად შეძენილ იქნა და გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეცა მეტალოკრამიტის ფერადი თუნუქის სახურავი (1505კვ.მ - 23 026.50 ლარი) და სპორტული მოედნისთვის ხელოვნური საფარი (370 კვ.მ - 9 757 ლარი);
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა და გარე პერიმეტრის უსაფრთხოების ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვის მიზნით:

  - სსიპ- ჟიული შარტავას სახელობის აფხაზეთის N6 საჯარო სკოლას გამოეყო 3 200.00 ლარი;
  - სსიპ - ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის N11 საჯარო სკოლას გამოეყო 4 015.00 ლარი;
  - სსიპ-აფხაზეთის N5 საჯარო სკოლას გამოეყო 4 399.00 ლარი;
  - სსიპ-თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის N7 საჯარო სკოლას გამოეყო 9 310.00ლარი;
  - სსიპ-აფხაზეთის N21 საჯარო სკოლას გამოეყო 8 835.00 ლარი;
  - სსიპ-აფხაზეთის N15 საჯარო სკოლას გამოეყო 6 510.00 ლარი;
  - სსიპ-აფხაზეთის N22 საჯარო სკოლას გამოეყო 3 984.45 ლარი;

- სსიპ-აფხაზეთის N21 საჯარო სკოლას, ბიბლიოთეკის ავეჯის დამზადების მიზნით, გამოეყო 9 990.00 ლარი;
- ოკუპირებული გალის რაიონის 10 (ათი) საშუალო სკოლის სპორტული ინვენტარის შესაძენად ქვეპროგრამის ფარგლებში გამოიყო 5 700.00 ლარი. შეძენილი, ზემოაღნიშნული ინვენტარი და გადაეცა გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

ბიუჯეტი: 102 ,337.00 ლარი;
ხარჯი: 98,726.05 ლარი;
შესრულება: 96/5%.

„წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა“
(პროგრამის კოდი 06 04 02)

პროგრამის დასაბუთება:
აფხაზეთიდან დევნილი მრავალი ოჯახი დღესაც მძიმე პირობებშია. (კომპაქტური ჩასახლების ცენტრებში ან ქირით ცხოვრობენ). ბევრი მათგანი არ არის დაკმაყოფილებული სამუშაო ადგილით და შემოსავლის არსებობის ძირითად წყაროს სახელმწიფო შემწეობები წარმოადგენს. ხშირია შემთხვევები, როდესაც

ახალგაზრდებს არ გააჩნიათ სწავლის გაგრძელების ფინანსური შესაძლებლობა, რის გამოც იძულებულნი არიან საგანმანათლებლო პროცესი შეწყვიტონ გარკვეული დროით ან საერთოდ.

პროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აფხაზეთიდან დევნილი წარმატებული, ნიჭიერი, საზოგადოებრივად აქტიური სტუდენტი-ახალგაზრდების სწავლების ფინანსური მხარდაჭერა, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას, პროფესიულ ზრდასა და განვითარებას. კონკრეტული პროექტის განხორციელება წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან ახალგაზრდობის მხარდაჭერის ქმედით ღონისძიებას.

შედეგი:
საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა 207 განცხადება, პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაფინანსდა აფხაზეთიდან დევნილი 164 წარმატებული ახალგაზრდა. უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში განხორციელდა ერთი სტუდენტის სწავლის თანადაფინანსება, საზღვარგარეთ სასწავლებლად გასამგზავრებელი ხარჯები დაუფინანსდა სამ სტუდენტს.
სულ, 2024 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 168 სტუდენტი.

გეგმა: **107, 817.00** ***ლარი;***
ხარჯი: **107, 752.41** ***ლარი;***
შესრულება: 99.9%.

სტიპენდიები
(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 26)

გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენებიდან მრავალი წელი გავიდა. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ტრაგედია მუდმივად იყო მსჯელობის, დისკუსიის, დებატების, მწვავე პოლემიკის, კვლევის საგანი. დღეს მოდის თაობა, რომელიც აფხაზეთში არ დაბადებულა, აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ იცის მხოლოდ გადმოცემებით ან წიგნებიდან და ყოველივეს აღიქვამს, როგორც წარსულის დრამატულ მოვლენას. ზოგადად, აღინიშნება აფხაზეთის თემის ახლებურად გააზრებული და ფუნდამენტური კვლევის სიმწირე.
მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობა იცნობდეს გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეებს აფხაზეთიდან, რომლებმაც თავისი ცხოვრებით, საქმიანობით, თავგანწირვითა და სახელმწიფოს მსახურებით მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქვეყნის ისტორიაში. აფხაზეთის გამორჩეული შვილების - თამაზ ნადარეიშვილის, ლორიკ მარშანიას, გურამ გაბესკირიასა და მიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიები ახალგაზრდებში სწავლის მოტივაციის ზრდასა და პიროვნული პოტენციალის განვითარებასთან ერთად პატრიოტული სულისკვეთების მატარებელია.
თანამედროვე ეპოქაში მხოლოდ განათლებული და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ადამიანები აღწევენ წარმატებას, ქმნიან ღირებულ პროდუქციას და გააჩნიათ იმის უნარი, რომ სამყაროს მუდმივად ცვალებად მოთხოვნილებებს ინოვაციური იდეების რეალიზაციით უპასუხონ. განათლებული და მაღალი კვალიფიკაციით აღჭურვილი საზოგადოების ჩამოყალიბება გრძელვადიანი პროცესია. მასში განსაკუთრებული ადგილი უკავია უმაღლეს განათლებას და ამ მიმართულებით კიდევ ერთი აფხაზეთის მკვიდრის - ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების საგნების შესწავლის მოტივაციის ამაღლებას, სტუდენტების ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებასა და პროფესიონალებად ჩამოყალიბებას ემსახურება.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ემსახურება:

ა) სტუდენტებში აფხაზეთის თემატიკის გააქტიურებასა და პოპულარიზაციას, მათი ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებას;

ბ) ახალგაზრდებში მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების საგნების პოპულარიზაციას;

გ) სტუდენტთა წახალისებასა და სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებას.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში **I - II კვარტალში** დაფინანსდნენ:

- მარიამ შონია - თამაზ ნადარეიშვილის სახელობის სტიპენდიატი;
- კესარია გელოვანი - ლორიკ მარშანიას სახელობის სტიპენდიატი;
- აკაკი ძიძიგური - გურამ გაბესკირიას სახელობის სტიპენდიატი;
- ბაგრატ შონია - მიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიატი;
- რევაზ ბერულავა - ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიატი;
- შოთა მშვენიერაძე - ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიატი;
- ილია ყიფშიძე - აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიატი;
- ნიკა არეშიძე - აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიატი.

ქვეპროგრამის ფარგლებში **III კვარტალში** დაფინანსდნენ:

- ლია მუმლაძე - აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიატი;
- მარიამ პაპასქირი - ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიატი;

ქვეპროგრამის ფარგლებში **IV კვარტალში** დაფინანსდნენ:

- ლიზი ნანავა - თამაზ ნადარეიშვილის სახელობის სტიპენდიატი;
- გიორგი ჩოკოშვილი - ლორიკ მარშანიას სახელობის სტიპენდიატი;
- ლუკა ლიპარტია - გურამ გაბესკირიას სახელობის სტიპენდიატი;
- ბარბარე უგრეხელიძე - მიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიატი;

3. არქანიას სახელობის არტ-გალერეაში აფხაზეთის წარმატებულ სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა შეხვედრაზე 2024-2025 სასწავლო წლის სტიპენდიატებს შესაბამისი დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

გეგმა: **14, 568.00** *ლარი;*
ხარჯი: **14,568.00** *ლარი;*
შესრულება: 100%.

დისტანციური სწავლების სკოლა
(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 20)

პროგრამის დასაბუთება:

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ გალის რაიონში, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ეთნიკურად ქართველია, შეზღუდულია მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. ქართული ენის სწავლების სხვა ენით ჩანაცვლება, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ისტორიის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შესახებ მწირი და დამახინჯებული ინფორმაცია მოსწავლეების განათლების დონეზე უარყოფითად აისახება. არსებულ რეალობას ართულებს დე-ფაქტო საზღვრის ხშირი ჩაკეტვა ხელს უშლის კონტროლირებადი ტერიტორიის მიღმა მცხოვრები მოზარდების სრულფასოვანი განვითარებისა და სოციალიზაციის პროცესს.

პროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ორი პროექტი: **„ონლაინ საკვირაო სკოლა“ და ონლაინ კლასი - „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა“**

„ონლაინ საკვირაო სკოლის“ ფარგლებში ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ 3 საგნობრივი მიმართულების - ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ხელოვნების განსხვავებული ფორმატით სწავლების პროცესში.

პროექტი ონლაინ კლასი - „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა“ მოიცავს ისტორიის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის (გარემოსდაცვითი საკითხები) მიმართულებით სწავლების განხორციელებას.
არაფორმალური დისტანციური სწავლება იმართება კვირაში ერთხელ, სწავლება მიმდინარეობს ინტერაქტიური, თამაშით სწავლებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა განსხვავებულად შეიმეცნონ ტრადიციული საგნები.
შედეგი:
ქვეპროგრამის ფარგლებში გალის რაიონის საშუალო და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს:

- **პროექტი - „ონლაინ საკვირაო სკოლა“**, ბენეფიციართა რაოდენობა 160 მოსწავლე, რვა ჯგუფი - ჩაუტარდათ 3 საგნობრივი მიმართულების - ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ხელოვნების გაკვეთილები. ონლაინ შეხვედრები იმართება ინტერაქტიური, თამაშით სწავლებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით. თითოეულ ჯგუფს ჩაუტარდა თვეში 4 შეხვედრა სამივე საგნობრივი მიმართულებით;
- **პროექტი ონლაინ კლასი - „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა“,** ბენეფიციართა რაოდენობა 45 მოსწავლე, ორი ჯგუფი - ჩაუტარდათ გაკვეთილები ისტორიის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის (გარემოსდაცვითი საკითხები) მიმართულებით. თითოეულ ჯგუფს ჩაუტარდა თვეში 4 შეხვედრა.

გეგმა: **75, 540.00** ***ლარი;***
ხარჯი: **75, 540.00** ***ლარი;***
შესრულება: 100%.

პროფესიული უნარების განვითარების მხარდაჭერა სკოლებში
(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 24)

ქვეპროგრამის დასაბუთება
ქვეპროგრამა ემსახურება ახალგაზრდებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის ზრდასა და მათთვის საინტერესო პროფესიის საბაზო უნარების განვითარებას.

ქვეპროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მოსინჯონ საკუთარი ძალები სხვადასხვა პროფესიაში. პროფესიული განათლების შესაძლებლობის თაობაზე აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის განხორციელდა საინფორმაციო ტურები, მოხდა აფხაზეთის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების მიმართულებით სკოლების ინიციატივების დაფინანსება.

შედეგი:

- ქვეპროგრამის ფარგლებში, აფხაზეთის საჯარო სკოლების საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის კოლეჯებში („ლაკადა“, „ფაზისი“ ,,,იბერია) ჩატარდა საინფორმაციო ტურები;
- ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სსიპ - აფხაზეთის N5 საჯარო სკოლის პროექტი ,,სერვისი და სერვირება“. ოცმა მოსწავლემ გაიარა „სერვისი და სერვირების“ პროფესიული კურსი (თეორიული და პრაქტიკული). ბენეფიციარები დაეუფლნენ პროფესიის პირველად უნარ-ჩვევებს;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა. სკოლის დამამთავრებელი საფეხურის მოსწავლეებს მიეწოდა ინფორმაცია პროფესიული სასწავლო პროგრამებისა და პერსპექტივების თაობაზე.

გეგმა: **4, 546.00** ***ლარი;***
ხარჯი: **4, 545.75.** ***ლარი;***
შესრულება: 100%.

„საგანმანათლებლო-შემეცნებითი ბანაკები”

(ქვეპროგრამის კოდი:06 04 07)

პროგრამის დასაბუთება

ქვეპროგრამის „საგანმანათლებლო-შემეცნებითი ბანაკები” მიზანია მოზარდების განვითარება, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, ინტეგრაციის ხელშეწყობა, დასვენება, პოზიტიური ემოციებისა და განწყობის უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შემეცნებითი-საგანმანათლებლო ბანაკების განხორციელებას. ბანაკების პროგრამა მოიცავს სწავლასა და აქტიურ დასვენებას. ბანაკის ბენეფიციარები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ხელოვნება, ისტორიის, ეთნო-კულტურის, კულტურული ფასეულობების, ეკოლოგიის, გარემოსდაცვითი საკითხების და სხვა) გადიან ტრენინგ-სემინარებს, ეძლევათ შესაძლებლობა ცალკეულ დისციპლინაში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების წარმოჩენა-განვითარების, დასავლური და ამერიკული ღირებულებებისა და კულტურის გაცნობის, საინტერესოდ დასვენების, გართობისა და თვალსაწიერის გაფართოების.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში „საგანმანათლებლო-შემეცნებით ბანაკებში” მონაწილეობას იღებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დისტანციური სწავლების სკოლის ბენეფიციარები (ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო და აფხაზეთის საჯარო სკოლის

მოსწავლეები), პროექტის „ონლაინ საკვირაო სკოლისა“ და პროექტის „ონლაინ კლასის - კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა“ - 50 მოსწავლე.

ბანაკის პროგრამა არამარტო სწავლების, ასევე, გართობისა და დასვენების კომპონენტისგან შედგებოდა. „საზაფხულო ბანაკის“ ფარგლებში მონაწილეები ყოველდღიურად, საინტერესო აქტივობებით დატვირთულ დღეებს ატარებდნენ. იმართებოდა კულტურულ-შემეცნებითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობები (დილის ვარჯიში, სპორტული შეჯიბრებები, შემოქმედებითი საღამოები და სხვა). ბანაკმა ხელი შეუწყო მოზარდებში ცოდნის ამაღლებას, საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დამეგობრებას. ბანაკის ყველა მონაწილეს გადაეცა სხვადასხვა ნომინაციისა და „ბანაკი 2024“ -ის მონაწილის სერტიფიკატები.

გეგმა: **36,823.00 ლარი;**
ხარჯი: **36,823.00 ლარი;**
შესრულება: 100%.

განათლება მომავლისთვის
(ქვეპროგრამის კოდი: 06 12 01)

პროგრამის დასაბუთება:

სამართლიანი და მშვიდობიანი სახელმწიფოს ქვაკუთხედს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში განვითარებული მოვლენების შედეგად ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობა და იძულებით გადაადგილებული პირები დღესაც საზოგადოების მოწყვლად ფენას განეკუთვნებიან.
ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს ნაკლები ხელმისაწვდომობა და მწირი შესაძლებლობა აქვთ ხარისხიანი განათლების მისაღებად. მშობლიური ენის აკრძალვა მოქალაქეობრივი უფლებების დარღვევა, ტექნოლოგიებზე წვდომის ნაკლებობა, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა და სხვა შემაფერხებელი ფაქტორები პიროვნების რეალიზაციასა და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას უშლის ხელს.
ქვეპროგრამა ითვალისწინებს საზოგადოების ცოდნითა და უნარებით აღჭურვას ინკლუზიური, სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების, სპორტის, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, დანერგვა-განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებით.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ღონისძიება „აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“, რომელიც ემსახურება აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეებში მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და საქართველოს სასკოლო სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობის უზრუნველყოფას.
ღონისძიების ფარგლებში გაიმართება აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ხუთ სახეობაში კერძოდ: მძლეოსნური გეზრბენი (კროსი), მინი ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი.

შედეგი:

აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის შეჯიბრებები შემდეგ სახეობებში - მძლეოსნური გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი. გამარჯვებული გუნდები:

- გეზრბენი - აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის (ვაჟები) და ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის (გოგოები) გუნდები;
- მაგიდის ჩოგბურთი თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის (ვაჟები) და თაგილონის საშუალო სკოლის(გოგოები) გუნდები;
- ფრენბურთი აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის (ვაჟები) და (გოგოები) გუნდები;
- მინი ფეხბურთი - აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის (ვაჟები) და აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის (გოგოები) გუნდები;
- კალათბურთი - ზემო ბარღების საშუალო სკოლის (ვაჟები) და ზემო ბარღების საშუალო სკოლის (გოგოები) გუნდები.

სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ მაისურები, შორტები, მედლები, თასი. ოლიმპიადის ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი აფხაზეთის სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის. სულ მონაწილეობდა 240 მოსწავლე. გამარჯვებულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ზონალურ თამაშებში.
2024 წლის 31 მაისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვ. არქანიას სახელობის საგამოფენო დარბაზში საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალონი“ ჩატარდა.
ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატში - „ეტალონი“ - მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის საჯარო და გალის ოკუპირებული ტერიტორიის რაიონის საშუალო სკოლების 182 მოსწავლემ, ფინალურ ეტაპზე გადავიდა 29 მოსწავლე.
2024 წლის „ეტალონი მოსწავლე“ სსიპ აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე რაულ შენგელია (90 ქულა) გახდა. პირველი ათეული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ დაჯილდოვდა.
აფხაზური ენის დაცვის, პოპულარიზაციის, ფართო მასებში ცნობადობის ზრდის მიზნით შეიქმნა აფხაზური ენის შემსწავლელი 40 ვიდეოკონტენტი (tryabkhazian) და განხორციელდა თემატური ჩანაწერების სოციალურ ქსელში (TikTok) კამპანიურად გავრცელება.

ქ. თბილისში, კენ ვოლკერის რეაბილიტაციის ცენტრში, 2024 წლის 05-08 სექტემბრის ჩათვლით აფხაზეთის საჯარო სკოლის დირექტორებისა და სპეცპედაგოგებისთვის გაიმართა გადამზადების ტრენინგები თემაზე - „ინკლუზიური განათლების დამხმარე სასწავლო ტექნიკები და ტექნოლოგიები“.

გეგმა: **31, 793.00 ლარი;**
ხარჯი: **31, 793.00 ლარი;**
შესრულება: 100%.

სკოლის შემდგომი განათლების მხარდაჭერა
(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 27)

ქვეპროგრამის დასაბუთება

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართულ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვამ უარყოფითი გავლენა იქონია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული განათლების ხარისხზე. ოკუპირებულ ტერიტორიის კურსდამთავრებულებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელებისას, ექმნებათ ქართული ენის ცოდნის, ქართულ ენაზე უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის და სოციალიზაციის პრობლემები.
უმაღლესი განათლების მიღების ხელშესაწყობად, სახელმწიფო ოკუპირებული ტერიტორიის კურსდამთავრებულებს სთავაზობს ერთწლიან სასწავლო კურსს. სკოლისშემდგომი განათლებისთვის

მომზადების სასწავლო კურსის სტუდენტებს აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან აფხაზეთის მთავრობა ფინანსური მხარდაჭერით უზრუნველყოფს.

ქვეპროგრამის აღწერა
ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწევა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლისშემდგომი განათლებისთვის მომზადების პროგრამის ბენეფიციარებს. პროგრამის განხორციელების პერიოდი 2024 წლის IV კვარტალი.

შედეგი:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლისშემდგომი განათლებისთვის მომზადების პროგრამის 18 ბენეფიციარი.

გეგმა: **8,100.00 ლარი;**
ხარჯი: **8,100.00 ლარი;**
შესრულება: 100%.

აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა
(ქვეპროგრამის კოდი: 06 04 17)

პროგრამის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე
აფხაზური ენის, როგორც სახელმწიფო ენის დაცვა, შესწავლა, მხარდაჭერა ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა. აფხაზეთის ხუთ საჯარო სკოლაში სწავლების საშუალო საფეხურზე ისწავლება აფხაზური ენა. აფხაზური ენის ათვისებას ხელს უშლის ენის სირთულე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში არჩევითი საგნების შესწავლისათვის დათმობილი კვირეული საათობრივი დატვირთვა, შრომის მცირე ანაზღაურება, აფხაზური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს არარსებობა, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და სხვა. ვინაიდან აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის აფხაზური ენა არ არის მშობლიური ენა და რთული დასაძლევია, ენის შესწავლა მსურველთათვის მიზანშეწონილია დაიწყოს ადრეულ ასაკში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური რესურსი არ იძლევა აფხაზური ენის შემსწავლელი ჯგუფების ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობას.

პროგრამის აღწერა:
ქვეპროგრამა ემსახურება აფხაზური ენის დაცვას, პოპულარიზაციასა და განვითარებას მოზარდ-ახალგაზრდებში. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის პედაგოგები. სამინისტრო „აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს აფხაზური ენის მასწავლებლების ფინანსურ დახმარებას.

შედეგი:
ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდებიან აფხაზეთის საჯარო სკოლის აფხაზური ენის პედაგოგები (5 პედაგოგი).

გეგმა: 17,500 .00 ლარი;
ხარჯი: 17, 500.00 *ლარი;*
შესრულება: 100%.

„ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამა

„ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ყოველკვარტალურად უზრუნველყოფს ფინანსური (სოციალური) დახმარების გაცემას, რომლის ოდენობაც 2024 წლისთვის შემდეგნაირად განისაზღვრა:

ა) დირექტორი - 1 271 ლარის ოდენობით;

ბ) მასწავლებელი - 1 234 ლარის ოდენობით;

გ) ადმინისტრაციული ტექნიკური პერსონალი - 817 ლარის ოდენობით.

2024 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით, დაფინანსდა 920 ბენეფიციარი: პედაგოგი - 703, დირექტორი - 22, ტექნიკური პერსონალი - 195.

- 2024 წლის მეორე კვარტლის ჩათვლით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მიზნით შექმნილმა კომისიამ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2009 წლის 19 მარტის №147 ბრძანების შესაბამისად, აღიარა პირების ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლება, კერძოდ: საბაზო განათლება - 14, სრული განათლება -245, ცალკეული კლასები - 111 (სულ - 370);
- მომზადდა და საქართველოს სახალხო დამცველს გადაეგზავნა გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია გალის რაიონში მშობლიურ ენაზე განათლების და სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობის საკითხებზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ექიმების/ექთნების შესახებ ინფორმაცია;
- მომზადდა და სსიპ-სახელმწიფო ენის დეპარტამენტს გადაეგზავნა ინფორმაცია სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების თაობაზე;
- მომზადდა და სსიპ-დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით;
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების/დამხმარე ლიტერატურის გადაცემის თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 28-ე კონსოლიდირებული ანგარიში 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განვითარებული მოვლენების შესახებ;
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია 2024-2025 სასწავლო წლისთვის სახელმძღვანელოების განთავსების თაობაზე;
- გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საერთაშორისო სეზონური სკოლის პროექტის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N442 ბრძანების შესაბამისად, აფხაზეთის საჯარო სკოლების მიერ 2023 წლის 12 თვის შესრულების ანგარიშების წარმოდგენის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად მობილობის შეზღუდვასთან დაკავშირებით;

- გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია - „ოკუპირებული რეგიონების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება“ - პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსის მქონე პირთა შეფასების პროცესის, შეფასების შედეგების ასახვის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში წერილობითი ფორმით მიმართვის ვადის განსაზღვრის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია 2024 წლის სკოლის საშტატო განრიგის პროექტების თაობაზე;
- აფხაზეთის N6,N11,N12 სკოლებს და გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია პროექტის - „ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ და დევნილ ახალგაზრდებში“ - განხორციელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე კონკურსის განთავსების ვადების განსაზღვრის თაობაზე;
- გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით მოქმედი საჯარო და კერძო სკოლებისათვის სასკოლო ლიგის შიდა საბოლოო თამაშებში მონაწილეობისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის თაობაზე;
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლებიდან მიღებული ინფორმაცია 2024-2025 სასწავლო წლისთვის საჭირო სახელმძღვანელოების რაოდენობის თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების მიერ 2022-2023 წლებში მიწისძვრის შედეგების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია საჯარო სკოლებში უცხო ქვეყნის მოქალაქე და ემიგრაციიდან დაბრუნებული მოსწავლეების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ,,საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ - ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია მოსწავლეებისთვის ლიტერატურული კონკურსის, სახელწოდებით „იქნებ ვაზია სამშობლო...“ ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „საჯარო სკოლებისათვის, რომლებშიც არ არის წარმოდგენილი სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის შრომის ანაზღაურებისათვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 მარტის N330825 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ლიტერატურული პრემია „ამირანის“ თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია პროექტ „ქართული კალიგრაფია-2024“ განხორციელების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით მოქმედი საჯარო და კერძო სკოლებისათვის ელექტრონული ჟურნალის - „სასკოლო სპორტი“ - მორიგი ნომრის გავრცელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ აკადემიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსების შეფასების შედეგების საპრეტენზიო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის განსაზღვრის თაობაზე;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია UNESCO-ს მიერ გამოცხადებული 2024-2025 წლების „მონაწილეობის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად საპროექტო განაცხადების მიღების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სკოლისა და სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროექტის - „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“ - თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია აზიის განვითარების ბანკის პროგრამის - „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ - ფარგლებში შრომის ბაზრის კვლევაში საჯარო სკოლების ჩართულობის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სტუდენტური პროექტის, სახელწოდებით „თსუ დესპანის“ ფარგლებში, სტუდენტების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის პრეზენტაციების ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში, რეგიონების სპეციალური მასწავლებლების ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილი პროექტის - „რეგიონული სასწავლო ტური სპეციალური მასწავლებლებისთვის“ - თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ახალგაზრდა ნატურალისტთა ტურნირის ჩატარების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროექტის - „ინფორმატიკის ოლიმპიადა ყველასათვის“ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელებისა და მხარდაჭერის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია "მსოფლიო საფოსტო კავშირის" წერილის წერის საერთაშორისო კონკურსის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 27 თებერვლის N223537 ბრძანება „ზოგადი განათლების I-XII კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე I-XII კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების დადგენის შესახებ“;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ქვეპროგრამის „STEAM სკოლებში“ ფარგლებში ფესტივალის ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს და გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია 2023-2024 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის დაწყების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ,,2024-2025 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სასკოლო კონკურსის - „ვწერ თავისუფალ თემას“ - განხორციელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის, ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით, ჩასატარებელი გამოცდების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია პროექტის „ახალი გზავნილის“ ფარგლებში შექმნილი ადაპტირებული ელექტრონული რესურსების თაობაზე;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია არაფორმალური განათლების ცენტრის - ჯეოლაბის მიერ ახალი ტექნოლოგიების მიმართულებით დაგეგმილი საგანმანათლებლო აქტივობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელებისა და მხარდაჭერის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ევროპის მასშტაბით დაგეგმილი ევროპელი ავტორების დღის აღსანიშნავი ღონისძიებების თაობაზე;
- მომზადდა და სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია ჭადრაკის სასკოლო ოლიმპიადის - „ნონა გაფრინდაშვილის თასი“ - აფხაზეთის საჯარო სკოლებში განხორციელების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ანალიტიკური უნარების განვითარების ხელშეწყობისათვის მედიაწიგნიერების კონკურსის „ნამდვილი თუ მოგონილი?! “ - შესაბამისი ასაკის მოზარდებში განხორციელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებსა და გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია საქართველოს მოსწავლეთა 36-ე ეროვნულ ოლიმპიადის შესახებ;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლების 2023 წლის 12 თვის ფინანსური ანგარიში;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის „რეგიონული სასწავლო ტური სპეციალური მასწავლებლებისთვის“ განხორციელების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში XII კლასის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე ექსტერნად რეგისტრაციის ვადების დადგენისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების ვადების დადგენის შესახებ“;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „2024-2025 სასწავლო წელს სექტორების, ცვლებისა და სასწავლო შენობების შესაბამისად საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის ვადის დადგენის შესახებ“;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებისთვის გამოცემული რესურსის „გამარჯობა, რუბის“ საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის“ მიერ პროფესიული პროგრამების შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების თაობაზე;
- მომზადდა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების I-II-III კლასის მოსწავლეებისთვის ბუკების გადაცემის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროექტის - „ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ და დევნილ ახალგაზრდებში“ - განხორციელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია აქტიური სტატუსის არმქონე მოსწავლეების ინფორმაციაზე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool), ხედვის საჭიროების განსაზღვრის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სტატუსის ცვლილების მსურველი მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში დოკუმენტაციის ატვირთვასთან დაკავშირებით და მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განათლებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო სერვისების განხორციელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია 2024-2025 სასწავლო წლისთვის საჭირო სახელმძღვანელოების მიწოდების თაობაზე;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების (გარდა მე-12 კლასისა) მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე ექსტერნად რეგისტრაციის ვადების დადგენისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების ვადების დადგენის შესახებ“;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსის მქონე პირთა შეფასების შედეგების ასახვის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში წერილობითი ფორმით მიმართვის ვადის განსაზღვრის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის, ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით, ჩასატარებელი გამოცდების განრიგის დადგენის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ყაზახეთის რესპუბლიკის UNESCO-ს კლუბის ეროვნული ფედერაციის მიერ მიმდინარე წლის ოქტომბერში დაგეგმილი ახალგაზრდული საერთაშორისო ფესტივალის - „ხელოვნების პლანეტა - 2024“ - შესახებ.
- მომზადდა და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას გადაეგზავნა ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებმაც 2023-2024 სასწავლო წელს წარმატებით დაძლიეს საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიღწევის დონე და ეკუთვნით საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია პედაგოგთა მოსამზადებელი ტრენინგების - „მეწარმეობა“ - განხორციელების შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების“ პროგრამის, „საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების“ ქვეპროგრამის ფარგლებში პროექტების/განაცხადების მიღების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია კერძო და საჯარო სკოლებში ბერძნული ენის სწავლებასთან დაკავშირებით;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია არაფორმალური განათლების ქვეპროგრამის ფარგლებში ლიტერატურული კონკურსის - „ვილაპარაკოთ აფხაზეთზე“ - თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსების შეფასების შედეგების საპრეტენზიო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool-ში მედალოსნის კანდიდატების ასახვის ვადების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლების 2024 წლის 6 თვის ნაერთი ანგარიში;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია წამყვანი/მენტორი მასწავლებლობის მსურველ აპლიკანტთა პრაქტიკული საქმიანობის შესაფასებლად, სასკოლო საზოგადოების წევრების, მათ შორის მოსწავლეების მშობლების/კანონიერი მეურვეების გამოკითხვის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 16 აგვისტოს №982472 ბრძანება „საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის №242 დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებისათვის განცხადების ელექტრონული რეგისტრაციის წესისა და ვადების, საჭირო დოკუმენტების ნუსხისა და განცხადებების განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია 2024-2025 სასწავლო წლისთვის XII კლასის ზოგიერთი საგნის, დამხმარე სასწავლო მასალის და 2023 წელს გრიფირებული I,II,III,IV (III,IV ზოგიერთი საგნის) და XI კლასის ნათარგმნი სახელმძღვანელოების მოწოდების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსის მქონე პირთა შეფასების შედეგების ასახვასთან დაკავშირებით;

- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვასა და დაფინანსებაზე რეგისტრირებული პირების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსების შეფასების შედეგების საპრეტენზიო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის განსაზღვრის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია მედიაწიგნიერების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, „მედიაწიგნიერების ოლიმპიადის“ კონკურსის და მედიაწიგნიერების კვირეულის ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ენების ევროპული დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია 2024 წლის 20 სექტემბრის N1174497 ბრძანება „ზოგადი განათლების I-XI კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე I-XI კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების დადგენის შესახებ“;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით მოქმედი საჯარო და კერძო სკოლებისათვის ელექტრონული ჟურნალის - „სასკოლო სპორტი“ - მორიგი ნომრის - ფოტოკატალოგის ფორმატში - გავრცელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებული ახალგაზრდული პროექტების „აგროსკოლასა“ და „სატყეო სკოლის“ სასწავლო კურსების განხორციელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სასკოლო სპორტის კვირეულისა და ევროპის სასკოლო სპორტის დღის აღნიშვნაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „სამხედრო საქმე“ - ფარგლებში სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ უვადო სარგებლობაში გადმოცემული ქონების (წიგნები, რუკები და პლაკატები) ერთეულის თვითღირებულების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია გვიან რეგისტრირებული და სტატუს აღდგენილი პირველკლასელი მოსწავლეებისთვის კომპიუტერების გადაცემის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ გამოცხადებული კონკურსის - „ისწავლე უსაფრთხო გარემოში“ - თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია სსიპ აფხაზეთის საჯარო სკოლებში ბავშვთა მიმართ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული სტატისტიკური მონაცემების შესახებ;
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა ანგარიში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განვითარებული მოვლენების შესახებ;
- მომზადდა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს გადაეგზავნა ინფორმაცია აფხაზეთის საჯარო სკოლების მდგომარეობის შესახებ;
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია 2024 წელს მიღებული ხარვეზიანი სახელმძღვანელოების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ელექტრონული ჟურნალის - „სასკოლო სპორტი“ - მორიგი ნომრის - ფოტოკატალოგის ფორმატში - მიწოდების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სპეციალურ მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის რეგიონული ტურის ჩატარების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამის აკადემიური და პედაგოგიური პრაქტიკის კურსების შეფასების შედეგების საპრეტენზიო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ.
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით მოქმედი საჯარო და კერძო სკოლებისათვის სასკოლო

ლიგის - შიდა სასკოლო თამაშების დებულების, თამაშების სარეკომენდაციო გრაფიკისა და შეჯიბრის ოქმების თაობაზე;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ქვეპროგრამის - „სამხედრო საქმის“ - ფარგლებში გათვალისწინებული გასვლითი გაკვეთილების/ექსკურსიების მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტების შესახებ ინფორმაცია;
- გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია მოსწავლეთა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ეროვნული აგრარული ოლიმპიადის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებში სტუდენტური პროექტის განხორციელების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სსიპ - „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ მიერ საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე ყოველწლიურად დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებების ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელების თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველ ტურში მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის ღონისძიებაში მოსწავლეების მონაწილეობის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისთვის კონკურსის, „განათლების პრობლემათა გასაღები მესამე ათასწლეულში“ გამოცხადების შესახებ;
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 27 ნოემბრის პერიოდში აფხაზეთის საჯარო სკოლებში ბავშვთა მიმართ სავარაუდო დანაშაულებზე შესაბამის სამართალდამცავ (შსს) ან სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სააგენტოსადმი შეტყობინებების რაოდენობის შესახებ;
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია „სამხედრო საქმის“ ქვეპროგრამის ფარგლებში აუთვისებელი თანხის დაბრუნების თაობაზე;
- მომზადდა და სსიპ-სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონულ ცენტრს გადაეგზავნა 2008 წელს დაბადებულ დევნილ ჭაბუკთა სახელობითი სიები.
- მომზადდა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა ინფორმაცია საჯარო სკოლებში 2025-2026 სასწავლო წლისთვის სამედიცინო პუნქტის აღჭურვილობის შესახებ;
- მომზადდა და 2023-2024 სასწავლო წლის სსიპ - საჯარო სკოლების ანგარიშები გადაეგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ მინისტრს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია „ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამის ბენეფიციართა შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში I-II-III კლასის მოსწავლეებისათვის პორტაბელური კომპიუტერების დამატებით საჭიროების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია ვებსტერის ამერიკული უნივერსიტეტის ფილიალის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის უნივერსიტეტის პროგრამებისა და შეთავაზებების გაცნობის მიზნით სკოლებში ვიზიტისა და შეხვედრების ორგანიზების თაობაზე;
- მომზადდა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გადაეგზავნა ინფორმაცია სსიპ-აფხაზეთის საჯარო სკოლების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია სსიპ-დაცული ტერიტორიების სააგენტოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ;

- აფხაზეთის საჯარო სკოლებს და გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს გადაეგზავნა ინფორმაცია 2024-2025 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტურზე თითოეული საგნის ტესტის მაქსიმალური ქულისა და ტესტირებისათვის გამოყოფილი დროის განსაზღვრის თაობაზე;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია შპს - ალტე უნივერსიტეტის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში აბიტურიენტებისთვის პროფესიის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის თაობაზე საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების შესახებ;
- მომზადდა და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს გადაეგზავნა აფხაზეთის საჯარო სკოლის შენობების ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შესახებ განახლებული ინფორმაცია;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დახურვასა და მეორე სემესტრისათვის განსახორციელებელი მოქმედებების შესახებ;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებს გადაეგზავნა ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 დეკემბრის #441 დადგენილების შესახებ.

გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (06 03)

პრიორიტეტის დასახელება

ინსტიტუციური განვითარება, სამოქალაქო ინტეგრაცია და ქვეყნის ინტერესების მხარდაჭერა (პროგრამების ადმინისტრირება და მართვა).

პრიორიტეტის მიზანი:

✓ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, კულტურისა და სპორტისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროების ხელშეწყობა ოკუპირებულ გალის რაიონში ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების საქმეში;

✓ ქართული სულისკვეთების შენარჩუნება ოკუპირებულ ტერიტორიაზე;

✓ ხარისხიანი განათლების გავრცელება;

✓ ზრუნვა მშობლიურ - ქართულ ენაზე სწავლის უფლებების აღდგენაზე, ქართული და აფხაზური ენების განვითარებაზე, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე.

საანგარიშო პერიოდში, გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების და დებულების თანახმად, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული (ბრძ. N 82/ძ; 09.02.2024 წ.) წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად, ოკუპირებული გალის რაიონის ოკუპაციამდე არსებული საზღვრების სკოლების, სკოლამდელი და სახელოვნებო დაწესებულებების მოსწავლეების, აღსაზრდელების, პედაგოგების, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მხარდასაჭერად განახორციელა შემდეგი საკითხები:

- გადამოწმდა სამოქმედო ტერიტორიის სასწავლო, სკოლამდელი და სახელოვნებო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსები, ცვლილებების გათვალისწინებით განახლდა - როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებლებისა და ტექპერსონალის მონაცემთა ბაზა. ამ მონაცემების მიხედვით, ფუნქციონირებს:
  - **30 სკოლა** (28 - ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, 2- საჯარო სოფ. ნაბაკევსა და მეორე ოტობაიაში), მოსამზადებლიდან მე-11 კლასის ჩათვლით ირიცხება - 3443 მოსწავლე, დასაქმებულია - 948 პედაგოგი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი;
  - **9 სკოლამდელი დაწესებულება, 4 სახელოვნებო სკოლა** (3 სამუსიკო, 1 სამხატვრო) 179 მასწავლებლითა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალით, ს/ბაღის 410 აღსაზრდელით, სახელოვნებო სკოლების 198 მოზარდით.

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებრივი მდგომარეობა

მიუხედავად ქართველთა ეთნიკური უმრავლესობისა, სკოლებში, მშობლიურ, ქართულ ენაზე სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებით, ვითარება არ შეცვლილა, საათების კვირეული დატვირთვა იგივეა: ტყვარჩელსა და ოჩამჩირეს მიკუთვნებულ 11 სკოლაში - 0 საათი, გალის „ქვედა და ზედა ზონების“ 19 სკოლაში, I-XI კლასებში 1 საათი ეთმობა ქართულ ენას, 1 - ქართული ლიტერატურას.ამ 19 სკოლიდან ქალაქ გალის N1 საშუალო სკოლაში ქართული ენა ისწავლება მხოლოდ მე-5 კლასში ფაკულტატიურის სახით, 2 საათი კვირეული დატვირთვით.

ყველა საგანი ისწავლება რუსულ ენაზე, რუსეთის ფედერაციის სკოლებისათვის დაბეჭდილი სახელმძღვანელოებით. თვით რუსული ენისა და ლიტერატურის კვირეული დატვირთვა I-XI კლასებში 79 საათია, მშობლიური ქართული ენა რიგით საგნად ისწავლება. ხოლო გალის „ზედა და ქვედა ზონების“ სკოლებში რიგით საგნად მიჩნეული მშობლიური ქართული ენისა - 57 საათი.

კლასგარეშე ღონისძიებები ტარდება რუსულ ენაზე. პედაგოგებს და მოსწავლეებს ეკრძალებათ ურთიერთობა ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან; იძულებითი რუსულენოვანი აღზრდა - განათლება მიმდინარეობს საბავშვო ბაღებსა და სახელოვნებო სკოლებში.
2023-2024 სასწავლო წლის დასასრულს IX-XI კლასების მოსწავლეებს სოხუმის ე.წ. განათლების სამინისტროს ბრძანებით ჩააბარებინეს გამოსაშვები გამოცდები 5 საგანში: *რუსული („მშობლიური“) ენა-წერა*; *რუსული („მშობლიური“) ლიტერატურა -ზეპირი*; *ალგებრა-წერა (რუსულ ენაზე)*; *აფხაზური ენა-ზეპირი; აფხაზეთის ისტორია -ზეპირი(რუსულ ენაზე).*
სასკოლო ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებს აკრძალული აქვს ენგურს აქეთ გადმოსვლა და მონაწილეობა ფესტივალებსა და სხვა სახის ღონისძიებებში.

მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მშობლიურ ენაზე ცოდნის მიღების, ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადებისა და გამოცდებისათვის მომზადების, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლების, სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში მონაწილეობის და სხვა მიზნებით:

- 1 თებერვლიდან განახლდა და საღამოობით, ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობს გაკვეთილები მე-11 კლასის მოსწავლეებისათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, ინგლისურში, მათემატიკაში. გაკვეთილები ტარდება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, განათლების ექსპერტების მიერ და ესწრება სხვადასხვა სკოლის 80-მდე მოსწავლე აბიტურიენტი. 2024 წლის 1-ლი ოქტომბრიდან დისტანციურ გაკვეთილებს ესწრება გალის რაიონის სხვადასხვა სკოლის 90 მოსწავლე (X-XI კლასელი);
- 1 მარტიდან, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და გალის რესურსცენტრის თანამშრომლობით, ამოქმედდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადების და აბიტურიენტებისათვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამა, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა საგნის 46 მასწავლებელი. გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და ამ მასწავლებლებს შორის დაიდო ხელშეკრულება. ისინი გალის რაიონის ოკუპაციამდე არსებულ საზღვრებში, ფიზიკურ გარემოში ამზადებენ აბიტურიენტებს სხვადასხვა საგანში მშობლიურ ენაზე.
- მიმდინარე წელს სკოლა დაამთავრა მე-11 კლასის 274 მოსწავლემ. აბიტურიენტების რეგისტრაცია დაიწყო 4 მარტს, დასრულდა 4 აპრილს. პირველადი და დაუსრულებელი შედეგებით, დარეგისტრირებულია 210-მდე აბიტურიენტი. გალის რესურსცენტრის თანამშრომლების მიერ მათთვის ჩატარებულია კონსულტაციები და დახმარება რეგისტრაციის პერიოდში ცდომილების თავიდან ასაცილებლად. აპრილის ბოლოს, ქ. ზუგდიდში, გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალისტებმა, საგნების მიხედვით, მასწავლებლებს ჩაუტარეს კონსულტაციები. 25-27 ივნისს გაიმართა საანგარიშო შეხვედრები;

- 1 თებერვლიდან აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, სსიპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს პროექტის ფარგლებში, განახლდა ხატვისა და მუსიკის დისტანციური გაკვეთილები, რომლებსაც უძღვებოდნენ ზაალ სულაკაურის სტუდიის თანამშრომლები და ანსამბლ „შავნაბადას“ წევრები დავით ცინცაძის ხელმძღვანელობით. ონლაინ გაკვეთილებს, სააგენტოსა და რესურსცენტრის კოორდინირებული თანამშრომლობით, ესწრებოდა სულ 60 მოზარდი (30 ხატვა, 30-მუსიკა);
- 29 მარტს ქ. ზუგდიდში, საგამოფენო ცენტრში ჩატარდა პროექტის საანგარიშო გამოფენა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ოკუპირებული ტერიტორიიდან მშობლების თანხლებით გადმოსული მოსწავლეები;
- იანვრის მეორე ნახევრიდან დაიწყო და მუშაობას აგრძელებს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროექტი „ონლაინ კლასი - „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა“ აფხაზეთის საჯარო და გალის რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეებისათვის. პროექტის ფარგლებში ოკუპირებული გალის რაიონის ოკუპაციამდე არსებული საზღვრების სხვადასხვა სკოლიდან ჩართული იყო 26 მოსწავლე. პროექტს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად კოორდინირებას უწევდნენ გალის რესურსცენტრის თანამშრომლები ლალი ცატავა და ნინო შამუგია;
- მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნულ სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადაში. I ტური გაიმართა დისტანციურად, ხოლო მე-2 ტური ჩატარდა ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლაში - მიმდინარე წლის იანვარში. მასში მონაწილეობის უფლება მოიპოვა გალის რაიონის 9 სკოლის 15-მა მოსწავლემ. მათ შორის ქართული ენა და ლიტერატურა-1, ბიოლოგია-1, გეოგრაფია-4, რუსული-16. ქართული ენისა და ლიტერატურის და ბიოლოგიის ტურში მონაწილეობა მიიღო ორმა აპლიკანტმა. გეოგრაფიის ტურში, თაგილონის სკოლის ორმა მოსწავლემ - ლანა გამისონიამ და ცოტნე ზარქუამ საბუთების უქონლობის გამო ვერ მიიღეს მონაწილეობა;
- ევერესტის მათემატიკის ოლიმპიადის შესარჩევ ტურში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი 15 (50 %) სკოლის 183 უმცროსკლასელი. მონაწილეობა უშუალოდ მიიღო-107-მა (58,46%). მესამე ტური ჩატარდა 19 მაისს, ზუგდიდის მე-4 საჯარო სკოლაში;
- საქართველოს ინტელექტ - ჩემპიონატ „ეტალონის“ თამაშში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა გალის რაიონის **17** სკოლის **115** მოსწავლე. ფინალურ ტურში, თბილისში, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში, მონაწილეობის მიღება შეძლო მხოლოდ 5-მა ფინალისტმა. საინტერესო თამაში უჩვენეს გალელმა მოზარდებმა და პირველ ათეულში მოხვდნენ. (ბექა ეხვაია - გალის საჯარო სკოლა # 13 ; ანა წირღვავა - ჭუბურხინჯის სკოლა #1);
- პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობისათვის (განათლებისა და საგანმანათლებლო სამსახურის ქვეპროგრამა), შ.მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის მიზნით შეხვედრა გაიმართა გალის რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეებთან (შეხვედრას დაესწრო - ჭუბურხინჯის 1-ლი და მე-2, საბერიოს მე-2, დიხაზურგის, წარჩის მე-2, ქვემო ბარღების, გაგიდის, ოტობაიის 1-ლი, მე-16 საჯარო სკოლის -25 მოსწავლე);
- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის მომართვის საფუძველზე, **სპორტულ ოლიმპიადაში** მონაწილეობა მიიღეს **თაგილონის, დიხაზურგის, ზემო ბარღების, წარჩეს N1, ოქტობაიის N1, საბერიოს N2 საშუალო სკოლების მოსწავლეებმა** შემდეგ სახეობებში: მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, მინი ფეხბურთი. მაგიდის ჩოგბურთში პირველი ადგილი აიღო თაგილონის მოსწავლე გოგონათა ჯგუფმა, მეორე ადგილი ბიჭებში - დიხაზურგის სკოლამ. ოლიმპიადაში შეჯიბრი მიმდინარეობდა ენგურს აქეთ განთავსებული აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან. აპრილის თვეში გაიმართა კალათბურთის და მინი ფეხბურთის ოლიმპიადა;
- 2024 წლის 14-16 ივნისს, ასპინძაში, **რაგბის ფესტივალი გაიმართა, მონაწილეობდა** ოტობაიის N1, გაგიდის, ნაბაკევის და საბერიოს N2 სკოლის 20 მოზარდი. მათმა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო ბაკურიანში, აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კომპიუტერულ კვირეულში - პროგრამა სქილვილის შემსწავლელთა ჯგუფი);

- მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა **მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე.** 2024 წელს განახლდა ტრენინგები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელსაც ესწრებოდა ამ საგნის 23 მასწავლებელი გალის ომამდელი საზღვრების სხვადასხვა სკოლიდან. ქართულთან ერთად სხვა საგნებში ტრენინგები გაიარა სკოლების და საბავშვო ბაღების 68 მასწავლებელმა;

წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად, რესურსცენტრმა 2024 წელს განახორციელა 3 პროექტი:

- 17-18 მაისი - „ავიმაღლოთ ცოდნა მშობლიურ ენაზე“;
- 13 ოქტომბერი - „მასწავლებლის დღე“;
- 21 დეკემბერი - „მადლობა მასწავლებელო“.

21 დეკემბერს განხორციელებული პროექტის ფარგლებში მადლობის სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით („ელიტ ელექტრონიქსის“ ვაუჩერი) დაჯილდოვდა ოკუპირებული გალის რაიონის სხვადასხვა სკოლის 8 მასწავლებელი: **გელა რატია, ნანი ქარდავა, თინათინ შამათავა, კობა რიგვავა, ჯამბულ ძიძარია, თემურ ჯოლოგუა, მანანა ქვაცაბაია, მანანა ტაბაღუა.** მადლობის სიგელებით დაჯილდოვდნენ თაგილონის, ფიჩორის, გაგიდის, დიხაზურგის, საბერიოს N2, წარჩეს N1, ოტობაიის N1, ზემო ბარღების, აჩიგვარის, რეჩხის სკოლების ხელმძღვანელები და სპორტის მასწავლებლები. აღნიშნულ სკოლებს, სპორტულ ოლიმპიადებში აქტიური მონაწილეობის გამო, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის ქვეპროგრამის ფარგლებში გადაეცა სპორტული ინვენტარი (ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის ბურთები და ჩოგნები, კალათბურთის ბადეები). ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი დავით მორგოშია, მინისტრის პირველი მოადგილე ბეჟან ნემსაძე, მოადგილე ნინო ლობჟანიძე, რესურსცენტრის თანამშრომლები.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარება

2024 წელს რესურსცენტრმა ოკუპირებული ტერიტორიიდან მიიღო და განათლების აღიარების კომისიაზე განსახილველად წარადგინა განათლების აღიარებისათვის მიღებული და გადამოწმებული დოკუმენტები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2009 წლის N147-ე ბრძანების - „ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების წესის“ - შესაბამისად, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში შექმნილი კომისიის მიერ აღიარებულ იქნა:

- 245 - კურსდამთავრებულის სრული ზოგადი განათლება;
- 14 - მოსწავლის საბაზო განათლება;
- 111 - ცალკეულ კლასში (I-II საფეხურზე) მიღებული განათლება. *(ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი შეფასება გადაყვანილ იქნა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასებაზე. ბრძანებები გადაეგზავნა სკოლებს, სადაც განათლებააღიარებული მოსწავლეები აგრძელებენ სწავლას);*
- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის მომართვების საფუძველზე, სპორტულ ოლიმპიადაში ჩართულ იქნა თაგილონის, დიხაზურგის, ზემო ბარღების, წარჩეს N1, ოტობაიის N1, საბერიოს N2 საშუალო სკოლების მოსწავლეთა გუნდები შემდეგ სახეობებში: მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, მინი ფეხბურთი. მაგიდის ჩოგბურთში პირველი ადგილი აიღო თაგილონის მოსწავლე გოგონათა ჯგუფმა, მეორე ადგილი ბიჭებში - დიხაზურგის სკოლამ. ოლიმპიადაში შეჯიბრი მიმდინარეობდა ენგურს აქეთ განთავსებული აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან. კალათბურთის და მინი ფეხბურთის ოლიმპიადა გაიმართა აპრილის თვეში;
- მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე. საანგარიშო პერიოდში განახლდა ტრენინგები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელსაც ესწრებოდა 23 მასწავლებელი გალის რაიონის ოკუპაციამდე არსებული საზღვრების სხვადასხვა სკოლიდან.

ქართულთან ერთად, სხვა საგნებში, ტრენინგი გაიარა სხვადასხვა სკოლის და საბავშვო ბაღის 68 მასწავლებელმა;

- 30 მარტს, გალის რესურსცენტრის ორგანიზებით, შედგა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის შეხვედრა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი სკოლამდელი და სახელოვნებო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან. განხილულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ენის სწავლების და სხვა პრობლემები, დაისახა გეგმები ამ პრობლემების მოსაგვარებლად. ასევე, დაიგეგმა ტრენინგების ჩატარება, დისტანციურ რეჟიმში, აღმზრდელ-პედაგოგების პროფესიული დონის ასამაღლებლად;
- რესურსცენტრმა, საანგარიშო პერიოდში, ხელი შეუწყო გალის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებებისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამების განხორციელებას. ოკუპირებული ტერიტორიიდან მიღებული და გადამოწმებული მასალების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს „ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბენეფიციარებს დახმარების თანხა პირად საბანკო ანგარიშებზე დროულად ჩაერიცხათ. ასევე, ფინანსური მხარდაჭერა პირად საბანკო ანგარიშებზე დროულად მიიღო გალის რაიონის საბავშვო ბაღებისა და სახელოვნებო სკოლების 181-მა ბენეფიციარებმაც 10%-იანი მატებით, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს „გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) საბავშვო ბაღებისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 06 09) ფარგლებში;
- გრძელდება ურთიერთობა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ სტუდენტებთან სხვადასხვა ღონისძიებაში მათი ჩართვის მიზნით. მიმდინარე წლის 26 მარტს იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის მოწვევით, ოკუპირებული ტერიტორიიდან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულმა 17 სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო სემინარში: „ახალგაზრდების როლის გააქტიურება ევროინტეგრაციასა და სამშვიდობო პროცესებში“. სემინარი ჩატარდა სასტუმრო „ლაერტონში“;
- ოკუპირებული ტერიტორიის ოტობაიის N1, ქ. გალის N1 და N2, თაგილონის და საბერიოს N2 საშუალო სკოლების 5 წარმატებული მოსწავლე მონაწილეობდა კავკასიის უნივერსიტეტში გამართულ ტრენინგში „ადამიანის უფლებების გაძლიერება ოკუპირებულ ტერიტორიაზე“;
- მომზადდა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა ოკუპირებული ტერიტორიის ბავშვების პირადი საჭირო საბუთები ესპანეთის სამეფოში 2024 წლის ზაფხულის პროგრამაში მონაწილეობასთან - დასვენებასთან დაკავშირებით. (7 მოსწავლე სხვადასხვა სკოლიდან. ესპანური ასოციაცია „TODOS SOMOS NINOS“- ყველაფერი ბავშვებისათვის“. ასევე, მომზადდა დოკუმენტები საერთაშორისო ფონდ „ფინსოლისგან“ მიღებული სიის (6 მცირეწლოვანი მოსწავლე) და მოთხოვნების შესაბამისად. საფუძველი: აფხაზეთის ა/რ მთავრობასა და დასახელებულ ორგანიზაციებს შორის დადებული მემორანდუმი);
- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურისა და რესურსცენტრის თანამშრომლობით ოკუპირებული გალის რაიონის სხვადასხვა სკოლიდან ბანაკში (ქობულეთში) გაიგზავნა 17 მოსწავლე;
- 21 სექტემბერს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატის მიწვევით, სამშვიდობო ღონისძიებას, სასტუმრო „ბილტმორში“, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 20 სტუდენტი ესწრებოდა.

ერთიანი ეროვნული გამოცდები და გამოცდების გარეშე ჩარიცხვა

- ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა და საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა, გალის რაიონის, სხვადასხვა სკოლის **6 კურსდამთავრებული;**
- გამოცდების გარეშე ჩარიცხვისა და დაფინანსების მიღების მიზნით, **დარეგისტრირდა 180** აბიტურიენტი; **ჩაირიცხა 179 სკოლადამთავრებული.**

(19 დარეგისტრირდა თბილისის ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო და ზუგდიდის მესხიას სახელობის უნივერსიტეტების მოსამზადებელ განყოფილებებში სწავლის გასაგრძელებლად. მიღებული გრძანების თანახმად, 18 შეძლებს მომზადებას (ერთმა უკვე ისარგებლა ჩარიცხვის პირობებით), მათ შორის: 4 ზუგდიდში, 14 - თსუ-ში).

გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრი უწყვეტ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას ოკუპირებული ტერიტორიის მიმართულებით. ზუგდიდსა და თბილისში დახმარებას უწევს და აკვალიანებს სხვადასხვა საკითხით დაინტერესებულ მოქალაქეებს ოკუპირებული ტერიტორიიდან. ზუგდიდში, ფიზიკურ გარემოში, 160-ზე მეტი მოქალაქის მომართვიანობა დაფიქსირებულია სათანადო ჟურნალში.

საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს წარედგინა ვრცელი ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების შესახებ, კვლევებთან და ზუსტ სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად. ასევე, მომზადდა ინფორმაცია ევროსაბჭოს კონსოლიდირებული ანგარიშისთვის საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტისთვის გადასაცემად.

გეგმა: 249,243.00 ლარი;
ხარჯი: 249,012.00 ლარი;
შესრულება: 99.9%.

ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (06 02)

ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი აჟარის მუნიციპალიტეტთან ერთად ყოველწლიურად ატარებს კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ ღონისძიებებს კოდორელი მოსწავლეების მონაწილეობით, ასევე, უზრუნველყოფს კოდორელი მოზარდების ჩართულობას იმ ღონისძიებებში, რომლებიც ტარდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ.

საანგარიშო პერიოდში ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილებისა და წლიური სამუშაო გეგმის ფარგლებში, განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- ზემო აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეები, აჟარის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, ვარჯიშობენ ძიუდოს სექციაში და აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ტურნირებში (ქ. თბილისი, აღმაშენებლის # 95, კლუბ „შევარდენის“ ბაზა, მწვრთნელი - ლევან ნოზაძე);
- თეთრიწყაროს რაიონის სოფ. წინწყაროში „აჟარის სპორტ სკოლაში“ თავისუფალი ჭიდაობის სექცია (მწვრთნელი - მურად გურჩიანი) ფუნქციონირებს. სპორტსკოლის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ამხანაგურ ტურნირებში და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში. ა/წ 18 თებერვალს გუნდმა უმასპინძლა მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფ. სადახლოს ჭიდაობის გუნდს, გაიმართა ამხანაგური მატჩი;
- 5-6 თებერვალს მალტაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი კიკბოქსინგში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კოდორის ხეობიდან დევნილმა მეთერთმეტე კლასელმა ლადო აფრასიძემ და გახდა ევროპის ჩემპიონი;
- 22-23 თებერვალს, სომხეთში, ქ. ერევანში ჩატარდა Mix Fight საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში, აღნიშნული ტურნირის ჩემპიონი, ასევე, კოდორელი სპორტსმენი ლადო აფრასიძე გახდა;
- 10 მარტს, ავსტრიის ქალაქ ლინცში, ძიუდოს გრანპრის შეჯიბრი ჩატარდა, ზემო აფხაზეთიდან დევნილმა გიორგი ჯაბნიაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა;
- 11 აპრილს, ქ. ქუთაისში ჩატარდა „ერუდიტი-2024“-ის შესარჩევი ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ საქართველოში მცხოვრებმა, ზემო აფხაზეთიდან დევნილმა 5-7 კლასის მოსწავლეებმა, შეირჩა 5 ფინალისტი;
- 27 აპრილს, ქ. თბილისში ჩატარდა „ერუდიტი-2024“-ის შესარჩევი ტური, მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქში მცხოვრებმა, ზემო აფხაზეთიდან დევნილმა მოსწავლეებმა, შეირჩა 5 ფინალისტი;
- 15 ივნისს, ქ. თბილისში ჩატარდა „ერუდიტი-2024“-ის ფინალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო წინასწარ შერჩეულმა 15-მა ფინალისტმა. ფინალისტებს (I-II-III ადგილი) გადაეცათ ელიტ ელექტრონიქსის ვაუჩერები, დანარჩენ მონაწილეებს კი ბიბლუსის ვაუჩერები;

- ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა და საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა ზემო აფხაზეთიდან დევნილი 31 აბიტურიენტი;
- 2024-25 სასწავლო წელს დარეგისტრირებულ, ზემო აფხაზეთიდან დევნილ, 55 პირველკლასელს ჩანთები და სასკოლო ნივთები დაურიგდათ;
- 7-8 სექტემბერს, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის და ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ერთობლივი ორგანიზებით, ზემო აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მიმდინარე წელს ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში, მოეწყო ორდღიანი ლაშქრობა მდინარე ხრამის ხეობაში, სტუდენტებმა დაათვალიერეს ხულუტის ციხე-დარბაზი და მოილოცეს ფიტარეთის ღვთისმშობლის ტაძარი;
- პარიზში, „პარაოლიმპიადა 2024-ზე“, კოდორის ხეობელებმა - გიორგი და ინა ქალდანებმა ძიუდოში მოიპოვეს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები;
- 12 ოქტომბერს, ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, შეხვედრა გაიმართა აჟარის სკოლის ხანდაზმულ პედაგოგთან მარინა გურჩიანთან;
- ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით 133 მრავალშვილიან ოჯახს საახალწლოდ სასურსათო ვაუჩერები გადაეცა.

გეგმა: 126,400.00 ლარი;
ხარჯი: 126,392 .00 ლარი;
შესრულება: 99,99%.

სამინისტროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახური

განსაზღვრული პრიორიტეტი:

კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

წარმატებულ ხელოვანთა და სპორტსმენთა მხარდაჭერის პროგრამის მიზანს წარმოადგენს კულტურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის, მეცნიერებისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა, სტიმულირება და ამ დარგში მოღვაწე პირების ღვაწლის აღიარება და დაფასება.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

ა) გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია (ქვეპროგრამის კოდი: 06 07 07)
პრემიის დაწესების მიზანია ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკის, მეცნიერების განვითარებისა და სტიმულირების ხელშეწყობა, ქართულ-აფხაზური კულტურული კავშირების პოპულარიზაცია.

ბ) ვიქტორ სანეევის სახელობის სტიპენდია (ქვეპროგრამის კოდი: 06 07 06)
სტიპენდიის მიზანია ახალგაზრდა სპორტსმენების წახალისება და ვიქტორ სანეევის სახელის უკვდავყოფა.

მიღწეული/შუალედური შედეგი:

კულტურის, ხელოვნების, სპორტისა და მეცნიერების განვითარება-სტიმულირების უზრუნველყოფა.

„ვიქტორ სანეევის სახელობის სტიპენდია“ (06 07 06)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 8,250.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8,246.00 ლარი, რაც გეგმის შესრულების 99.9 % -ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

პრიორიტეტის მიზანი:

რანგით უფრო მაღალი სპორტული მიღწევების მქონე ახალგაზრდა სპორტსმენების (ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის, საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, ასევე პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები და პრიზიორები) მხარდაჭერა, წახალისება და მათი მოტივაციის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

„ვიქტორ სანეევის სახელობის სტიპენდიის“ ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ საქართველოს ეროვნული და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სპორტული ფედერაციების წევრი დევნილი ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენები.

შემოვიდა 17 კონკურსანტის განაცხადი;

2024 წლის 5 მარტს, „ვიქტორ სანეევის სახელობის სტიპენდიატების“ გამოსავლენად კომისიის წევრებმა ღიად განიხილეს კონკურსანტთა განაცხადები, რის შემდეგაც შედგა ფარული კენჭისყრა.

მიღწეული/შუალედური შედეგი:

კონკურსზე წარმოდგენილი 17 (ჩვიდმეტი) განაცხადიდან ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყველა პროცედურების დაცვით, კენჭისყრის შედეგად მიღებული ქულებით გამოვლინდა „ვიქტორ სანეევის სახელობის სტიპენდიის“ სამი მფლობელი: **ირაკლი ვეკუა, საბა ადამია, ალექსანდრე ლოლაძე;**

კონკურსის გამარჯვებულებს მიენიჭათ „ვიქტორ სანეევის სახელობის სტიპენდიატის“ წოდება, გადაეცათ სტიპენდიის მფლობელის დიპლომი და სტიპენდია, თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით კალენდარული წლის 10 თვის განმავლობაში.

„გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია“ (06 07 07)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 21,500.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 19, 730.00 ლარი, რაც გეგმის შესრულების 91.8%-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

პრემიის დაწესების მიზანია ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკის, მეცნიერების განვითარებისა და სტიმულირების ხელშეწყობა, ქართულ-აფხაზური კულტურული კავშირების პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის კონკურსი ორ წელიწადში ერთხელ ცხადდება და ენიჭება ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგებში შექმნილ ნაწარმოებს (ნაშრომს), რომელმაც მხატვრულ და სხვა ღირსებათა გამო, აღიარება მოიპოვა, განმსჭვალულია თავისუფლების, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის მაღალი იდეალებით და წარმოადგენს შენაძენს ქართული და აფხაზური ლიტერატურის, ხელოვნების, პუბლიცისტიკისა და მეცნიერების დარგებში.

მიღწეული/შუალედური შედეგი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის კომპეტენტურმა კომისიამ 2024 წლის 27 ნოემბერს სხდომაზე ფარული კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა 4 გამარჯვებული. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან არსებული „გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის“ ლაურეატები გახდნენ:

- ბოდღო ემუხვარი - წიგნი „აფხაზური პორტრეტებიდან“ - 2024 წელი;
- ამირან კუპრავა - ფერწერული ნამუშევრები - 2023-2024 წელი;
- თეა თოფურია - რომანი „იაკობის ჭასთან“- 2023 წელი;
- თამარ ბართაია - რომანი „ფერფლი“, აუდიო წიგნი - 2024 წელი

„გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის“ ლაურეატების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა 2024 წლის 29 ნოემბერს 18:00 საათზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანიას სახელობის საგამოფენო დარბაზში.

(პირებს, რომლებმაც პრემია მოიპოვეს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით (№207, 2024 წლის 29 ნოემბერი, ქ. თბილისი) მიენიჭათ „გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატის" წოდება და გადაეცათ: ფულადი ჯილდო 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით, დიპლომები და ყვავილების თაიგული).

„კულტურა და სპორტი მშვიდობისა და განვითარებისათვის“ (06 12 02)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 25,531.00 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა- 25,531.00 ათასი ლარი, რაც გეგმის შესრულების 100%-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

- კულტურის მნიშვნელობის გაძლიერება მშვიდობის მშენებლობაში;
- კულტურათაშორისი დიალოგის, ნდობისა და კავშირების გამყარება;
- ოკუპირებული გალის რაიონში მცხოვრები მოზარდების ინტეგრაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

აფხაზებსა და ქართველებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ საერთო ტრადიციებით, კულტურითა და კულტურული მემკვიდრეობით, ხელოვნებითა და სპორტული მიღწევებით. სამწუხაროდ, აფხაზეთში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე. ომგამოვლილ საზოგადოებაში ომის შიში და მის მიერ გამოწვეული ტრავმები ყოველდღიურობის ნაწილია. მოუგვარებელი კონფლიქტის შედეგად თითოეულ მხარეს თან სდევს მოუშუშებელი ტკივილი, რომლის გადაჭრის საუკეთესო გზა არაპოლიტიკური ასპექტია. ესაა დიალოგი კულტურისა და სპორტის ენაზე, ვინაიდან კულტურა და სპორტი ხელს უწყობს სამოქალაქო თანხმობას და დიდ როლს ასრულებს მშვიდობის მშენებლობის საქმეში. ოკუპირებული გალის რაიონში მცხოვრები მოზარდები სხვადასხვა მიმართულებით და მათ შორის სპორტშიც კიდევ უფრო მეტად საჭიროებენ წახალისებას და მოტივაციის ამაღლებას, ვინაიდან ისინი მოკლებულნი არიან გარკვეულ შესაძლებლობებს.

მიღწეული/შუალედური შედეგი:

- 1 თებერვალი - ქვეპროგრამის ფარგლებში რუსთაველის ეროვნულ თეატრში აფხაზეთის შემოქმედებითი კოლექტივების გალა-კონცერტი - „აფხაზეთისთვის“ გაიმართა; გალა-კონცერტში აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“, აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა“, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, გიორგი რატიანის სახელობის სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი, აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის უფროსი თაობა, გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „გუმბათი“ და ანსამბლ „შავნაბადას“ ბავშვთა გუნდი მონაწილეობდნენ. თეატრის ფოიეში აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების (ნუგზარ მგალობლიშვილი მადლენა ბარაბაძე, ნანა მელქაძე, მურთაზ შურღაია, იგორ სამუშია, პავლე კეკუა, ლეილა ბაღბაია, პაპუნა პაპასკირი, ალექსანდრე ხუბუა, ვანო ქავშბაია, ელდარ ქავშბაია, ეკატერინე ქარჩავა, ვალერი ჩარგაზია) გამოფენა მოეწყო. იქვე წარმოდგენილი იყო ბეჭდური გამოცემები, ჟურნალები - „რიწა“ და „იალქანი“ ;
- 7 მარტი - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამსახურის ხელშეწყობით, ქვეპროგრამის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით 7 მარტს, 19:00 საათზე, ქალაქ ბათუმში, აჭარაბეთის არენაზე, საქართველოს ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ მატჩს ოკუპირებული გალის რაიონში მცხოვრები ონლაინ საკვირაო სკოლის 20 მოსწავლე დაესწრო;
- 30 ივნისი - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში, 30 ივნისს, 20:00 საათზე გალა-კონცერტი „აფხაზეთისთვის“ გაიმართა. (მაყურებლის წინაშე წარდგნენ: აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა“, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან არსებული სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლი „ნართები“. გალა-კონცერტში, ასევე, მონაწილეობა მიიღო ბათუმის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლის ბავშვთა ფოლკლორულმა გუნდმა - „ჰანგები“, მომღერალმა სოფო ხალვაშმა, ფერიის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. კონცერტს უძღვებოდა ბათუმელი მსახიობი - ბერდია კუტუბიძე);
- 24 ივლისი - ქვეპროგრამის ფარგლებში დახურულ სხდომაზე კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა კონკურსში გამარჯვებული, კონკურსის - „ახალი პიესა აფხაზეთზე“ გამარჯვებული გახდა სალომე კაპანაძე პიესით - „მე არსად წავსულვარ“, (გადაეცა ფულადი ჯილდო 2500 (ორი ათას ხუთასი)) ლარის ოდენობით. პიესა დაიდგმება სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე.

პიესა დაიდგმება სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე.

კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური

აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა

„კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა“ (06 10)

განსაზღვრული პრიორიტეტი:

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლა და შენარჩუნება.

პრიორიტეტის მიზანი:

ა) დროებით ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაზე ზრუნვა;
ბ) ფართო საზოგადოების, მათ შორის, მოზარდებისა და ახალგაზრდების აფხაზეთის თემატიკით დაინტერესება, აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის, ისტორიის, კულტურის მიმართულებით ცნობიერების ამაღლება და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება.
აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლა და შენარჩუნება.
საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად შესაბამისი სამსახური ახორციელებს „კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამას“ (პროგრამის კოდი 06 10).

პროგრამის დასაბუთება:

აფხაზეთში მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა კარგავს თავის ავთენტურობას და უნიკალურობას ოკუპანტის მხრიდან ჩადენილი ვანდალური ქმედების შედეგად. საფრთხის წინაშეა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც თავისთავად ახდენს უარყოფით გავლენას ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაზე.

განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად დასახული მიზნები:

ა) დროებით ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაზე ზრუნვა;
ბ) ფართო საზოგადოების, მათ შორის, მოზარდებისა და ახალგაზრდების აფხაზეთის თემატიკით დაინტერესება, აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის, ისტორიის, კულტურის მიმართულებით ცნობიერების ამაღლება და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის უცნობი, ან ნაკლებად ცნობილი უნიკალური ინფორმაციის, ფოტო და ვიდეო კადრების მოპოვება, რომელიც გაზრდის აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, თემის აქტუალიზაციას, ამ საკითხისადმი ინტერესს და ხელს შეუწყობს აფხაზეთის ისტორიის, კულტურის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას.

შედეგი:

- შეიქმნა სამი ვიდეო-ჩანახატი;

- გამოიცა ალექსანდრე შერვაშიძის ნახატების კატალოგი.

გეგმა: 19, 150.00 ლარი;
ხარჯი: 19, 000.00 ლარი;
შესრულება: 99,2%.

სსიპ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული

სახელმწიფო დრამატული თეატრი (06 11 01)

პრიორიტეტის აღწერა:
თეატრის მიზანია ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარება, საზოგადოებისათვის აქტუალური თემების წარმოჩენა სცენაზე, მაყურებლის სულიერი განვითარებისათვის ზრუნვა. დიდი ისტორიის მქონე სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ღირსეული წარმოჩენა როგორც ქართულ, ასევე, საერთაშორისო თეატრალურ სივრცეში. თეატრის, როგორც ჩვენი ცხოვრების ანარეკლის პოპულარიზაცია. დღეს ქართულ საზოგადოებას აუცილებლად სჭირდება მაღალი დონის ხელოვნება, კერძოდ, მაღალმხატვრული სპექტაკლები, რომლებსაც ნახავს არა მარტო თბილისის, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და უცხოელი მაყურებელი. სპექტაკლების გატანა საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ.

პრიორიტეტის მიზანი:
საზოგადოებისათვის აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე თემატური სპექტაკლების დადგმა, მაღალი დონის სამსახიობო შესრულება. თეატრის მიზანია როგორც საქართველოს მასშტაბით, ისე საზღვრებს მიღმა გასვლითი ღონისძიებების ჩატარება. ძირითადი აქცენტის გაკეთება საქართველოს იმ კუთხეებზე, სადაც კომპაქტურად იძულებით გადაადგილებულთა შედარებით დიდი დასახლებებია. ასეთი ღონისძიებები თეატრს საშუალებას მისცემს შეასრულოს თავისი უმთავრესი მოწოდება და მისია შექმნას სულიერი პროდუქტი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირთათვის;

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატულმა თეატრმა 2024 წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

თებერვალ-მარტის თვის აფიშა:

- „მარტორქები“ - 13, 14, 19 თებერვალი / 12, 13, 14 მარტი;
- „ვთამაშობთ კაბუკის" - 28 თებერვალი / 27 მარტი;
- „ვაჟიშვილი“ - 19 მარტი;
- „სტუმარი“ - 30 მარტი.

2024 წლის თებერვალსა და მარტში, სოხუმის თეატრის სცენა აქტიურად იყო გაქირავებული სხვადასხვა სახელოვნებო ორგანიზაციებზე, რაც თეატრისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო გახდა, კერძოდ:

- 21, 22, 23, 24 (რეპეტიცია) - 25 თებერვალი - იგორ ტრუხინის სპექტაკლი „ძალიან ბევრნი ხართ“ - 20:00 სთ.;
- 29 თებერვალი, 1 მარტი (რეპეტიცია) - 2, 3 მარტი „What production” (ხელოვანთა გაერთიანება) - სპექტაკლი „ტრიუმფალური თაღი“ 19:00 სთ. ;
- 5, 6, 7 მარტი - თეატრი „თეთრი ტალღა“ რეპეტიცია, 11:00-16:00 სთ.;
- 9 (რეპეტიცია) - 10 მარტი - მწარმოებელი: ARETE, სპექტაკლი «გატეხილი გულების კლუბი» 20:00 სთ.;
- 20 (რეპეტიცია) - 21 მარტი ირა კოხრეიძის ინკლუზიური თეატრი „კონტაქტი“, სპექტაკლი: „ზღვის კარიბჭე“, 20:00 სთ.;
- 24 მარტი - შპს ერის რჩეული N1. სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, (ერთ დღეში ორი წარმოდგენა - პირველი ჩვენება: 14:30 სთ., მეორე ჩვენება: 16:30 სთ.).

- მარტის თვეში გაიმართა სამდღიანი სამუშაო შეხვედრები რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელთან, ნინელი ჭანკვეტაძესთან;
- სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, დავით საყვარელიძემ გამართა სამუშაო შეხვედრები შოთა რუსთაველის თეატრისა და კინო უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართულების (რეჟისორები, თეატრმცოდნეები) სტუდენტებთან და მაგისტრანტებთან.

აპრილი

- „მარტორქები“ - 17 - 19 აპრილი;
- „ვაჟიშვილი“ - 24 აპრილი;
- „სტუმარი“ - 30 აპრილი.

სოხუმის თეატრის სხვა აქტივობები:

- 3 აპრილს სოხუმის თეატრმა მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს უმასპინძლა. წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „გამზრდელი“ (რეჟისორი, სცენოგრაფი და მუსიკალური გამფორმებელი ნიკოლოზ საბაშვილი);
- 4 და 5 აპრილს სოხუმის თეატრის სცენა დაეთმო თეატრის - „თეთრი ტალღა“ - რეპეტიციას;
- აპრილის თვეში თეატრმა აღადგინა სარეპერტუარო სპექტაკლი „იაკიში და პუპჩე“ (რეჟ.: დავით საყვარელიძე);
- 26 აპრილს სოხუმის თეატრის მხარდაჭერით, თეატრის სცენაზე, გაიმართა საქველმოქმედო სპექტაკლი „ძუნწი“. წარმომდგენი „სივრცის თეატრი“, რეჟ. ირაკლი ბარკალაია;
- 16 აპრილი - იგორ ტრუხინის სპექტაკლის „ძალიან ბევრნი ხართ“ რეპეტიცია;
- 21 აპრილი - სპექტაკლი „დასვენების უფლება“ წარმომდგენი: „ბრუსნიკინის სახელოსნო“;
- 29 აპრილს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სოხუმის თეატრთან თანამშრომლობით, გამოაცხადა კონკურსი თემაზე - „ახალი პიესა აფხაზეთზე“. კონკურსში გამარჯვებული პიესა დაიდგმება სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე;
- 14, 15,17 მაისი - სოხუმის თეატრის სცენაზე დაბრუნდა სარეპერტუარო სპექტაკლი „იაკიში და პუპჩე“ (რეჟ.: დავით საყვარელიძე);
- 9 მაისიდან 14 მაისის ჩათვლით, სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, დავით საყვარელიძე მიწვეული იყო და იმყოფებოდა ლიეტუვის რესპუბლიკის ქალაქ კლაიპედაში, კლაიპედას დრამატული თეატრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რაც მოიცავდა აღნიშნული თეატრის საპრემიერო სპექტაკლებზე დასწრებას. ღონისძიების ფარგლებში განხილული იყო თეატრებს შორის სამომავლო პარტნიორობის საკითხები;
- მაისის თვეში RCCR Projects GmbH-თან თანამშრომლობით, სოხუმის თეატრმა უმასპინძლა მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებას - სამდღიან ახალგაზრდულ მუსიკალურ ფესტივალს,

სახელწოდებით „Into the Open (ITO)“. პროექტი მხარდაჭერილი იყო ევროკომისიის მიერ და თანადაფინანსებული „შემოქმედებითი ევროპის“ (Creative Europe) პროექტის ფარგლებში.
Into the Open (ITO) არის ევროპული მუსიკალური ფესტივალი, რომელიც განკუთვნილია ახალი თაობისთვის. ფესტივალი ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანებს საზღვრებსა და ჟანრებს მიღმა, აერთიანებს მათ, ვისაც უყვართ კლასიკური მუსიკა და სურთ შეიგრძნონ ის ახლებურად. ამასთან, ფესტივალი აკავშირებს ხელოვნების სხვადასხვა ფორმას: ცნობილი ახალგაზრდა მუსიკოსები, მთელი მსოფლიოდან, წარმოადგენენ კლასიკურ მუსიკას სხვადასხვა მიმართულების არტისტებთან, როგორიცაა ცეკვა, თეატრი ან ვიზუალური ხელოვნება. შედეგი - უნიკალური გამოცდილებაა. ინტერდისციპლინური მიდგომისა და ჟანრული სფეროების შერწყმის გზით, ფესტივალი მიზნად ისახავს ახალი საკონცერტო გამოცდილების შექმნას, აუდიტორიის „გადაკვეთის წერტილების“ პოვნასა და ხელშეწყობას.
პროექტის პარტნიორები: ევროკომისია (European Commission), ბერლინის სენატი კულტურისა და სოციალური ერთობისთვის (Berlin Senate for Culture and Social Cohesion), გერმანიის საელჩო თბილისში (Germany Embassy Tbilisi), გოეთეს ინსტიტუტი (Goethe Institute), RCCR Projects GmbH, იუნესკოს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის საქართველოს ცენტი (UNESCO International Theatre Institute Georgian Centre).
ფესტივალის ფარგლებში სოხუმის თეატრს ეწვივნენ მსოფლიოში ცნობილი არტისტები, მათ შორის: მაიკლ ბარენბოიმი, ბარენბოიმ-საიდის აკადემია, ეშლი კელინ გრინი - ლეგენდარული ამერიკული ცეკვის თეატრის „ელვინ ეილის“ სოლისტი ნიუ-იორკში, შტეგრაიფი - იმპროვიზებული სიმფონიური ორკესტრი, DJ ჰალოზაური, მსოფლიოში ცნობილი გერმანელი დრამატურგის, ჰაინერ მიულერის შვილი, ანა მიულერი და სხვ.
პროექტის წარმატებით განხორციელებამ ერთი-ორად გაზარდა სოხუმის თეატრის საერთაშორისო პრესტიჟი და ცნობადობა; იყო დიდი გამოხმაურება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მედიაში.
Into the Open (ITO)-ის პროგრამა სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში

- ბარენბოიმ-საიდის აკადემია და მაიკლ ბარენბოიმი (ვიოლინო),მოცარტის, შონბერგის და ბრამსის მუსიკალური ნაწარმოებები;
- ლექცია/დისკუსია ანა მიულერთან;
- სიმფონიური ორკესტრი // ანა მიულერი და ნიკოლაუს რექსროთი (ფორტეპიანო);
- ჰალოზორი (ელექტრონიკა) და შტეგრაიფი – იმპროვიზაციული სიმფონიური ორკესტრი, დრონ-მუსიკა ელექტრონული სინთეზატორებისთვის და ცოცხალი იმპროვიზაციისთვის;
- თბილისის ჯაზ-ანსამბლი და ეშლი გრინი (ელვინ ეილის საცეკვაო კომპანია, ნიუ-იორკი);
- 27 მაისს სოხუმის თეატრის სცენა დაეთმო თეატრს „თეთრი ტალღა“ საქველმოქმედო სპექტაკლისთვის, რომელიც ორჯერ ითამაშეს: 15:00, 17:00 სთ.;
- 9 და 10 მაისს სოხუმის თეატრის სცენა დაეთმო საბავშვო მუსიკალურ სპექტაკლს „Secret BI-DUBI-BOO“, წარმდგენი: Art theater school;
- 18 და 19 მაისს სოხუმის თეატრის სცენა დაეთმო იგორ ტრუხინის სპექტაკლს „ძალიან ბევრნი ხართ“ ;
- 1-4 ივნისს სოხუმის თეატრმა უმასპინძლა თბილისის საბავშვო და ახალგაზრდული თეატრების საერთაშორისო ფესტივალს. ფესტივალი პირველ ივნისს, 20.00 სთ-ზე, სოხუმის დრამატულ თეატრში საზეიმოდ გაიხსნა. წარმოდგენილი იყო ეროვნული სასახლის ანსამბლებისა და სტუდიების პროგრამა და ჩინეთის თეატრის ასოციაციის საბავშვო თეატრის სპექტაკლის ნაწყვეტები; ფესტივალის ფარგლებში, 2 ივნისს, 13:00 სთ.-ზე, სოხუმის თეატრში წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „აისია“ (მარნეული, საქართველო), ხოლო 17:00 საათზე, სპექტაკლი „პატარა უფლისწული“ (სომხეთი), დრამატურგი: ევგენი სოლოვიევი.(სოხუმის თეატრი აღნიშნული ფესტივალის ერთ-ერთი თანაორგანიზატორი და მასპინძელია).
2024 წლის ივნისის თვეში, სოხუმის თეატრში, მიმდინარეობდა შემდეგი სარეპერტუარო სპექტაკლების ჩვენება:

- 6 ივნისი - „იაკიში და პუპჩე“ (რეჟ. დავით საყვარელიძე);
- 20, 21, 23, ივნისი - „მარტორქები“ (რეჟ. ზურაბ გეწაძე);
- 14 ივნისს სოხუმის თეატრის სცენაზე სპექტაკლი წარადგინეს 161-ე სკოლის მოსწავლეებმა;
- 26 და 27 ივნისს სოხუმის თეატრის სცენა დაეთმო ირა კოხრეიძის ინკლუზიური თეატრის - „კონტაქტის“ სპექტაკლს „ზღვის კარიბჭე“;
- 12 ივნისს სოხუმის თეატრში შედგა მერაბ ყოლბაიას სპექტაკლის - „იქ, ჩვენთან“ პრემიერა.(რეჟისორი და სცენარის ავტორი: მერაბ ყოლბაია, მხატვარი: ნინო ქუთელია, მუსიკალური გაფორმება: მერაბ ყოლბაია,

რეჟისორის თანაშემწე: სვეტლანა გოგოხია. მონაწილეობენ: ნიკა ჭკადუა, ედემი ხვიჩია, ლელა შარაბიძე, ჯულიეტა პაკელიანი, ლალიკო ღერკენაშვილი, ლევან ლეჟავა, დავით ბერაძე, მერაბ ყოლბაია);

- 3 ივლისს სოხუმის თეატრის სცენაზე სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „აფხაზეთის“ საანგარიშო კონცერტი გაიმართა;
- 4 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით, სოხუმის თეატრის სცენაზე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „აფხაზეთის“ რეპეტიციები მიმდინარეობდა;
- 20-21 ივლისს სოხუმის თეატრის სცენაზე გაიმართა სპექტაკლი - „ტრიუმფალური თაღი“ (ორი დღე - ორი სპექტაკლი);
- 24 სექტემბერს სოხუმის თეატრში გაიმართა ღონისძიება - „აფხაზეთი ჩვენი -2024“, ორგანიზატორი ნინო მირცხულავა;
- 27 სექტემბერს სოხუმის თეატრის სცენა დაეთმო სპექტაკლს „Hellados“, ინტეგრირებული თეატრი „აზდაკის ბაღი“;
- სექტემბრის თვეში სოხუმის თეატრში მუშაობა დაიწყო ორ ახალ სპექტაკლზე: „მოსასმენი თამაში მაყურებლისთვის“ (პიესის ავტორი და რეჟისორი ზურაბ კანდელაკი. მონაწილეობენ: ლილი ხურითი, გივი ჩუგუაშვილი), „უკანასკნელი უბიხის საყვირი“ (რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი. სოხუმის თეატრისა და მარჯანიშვილის თეატრის ერთობლივი ნამუშევარი);
- 2024 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში სოხუმის თეატრში მიმდინარეობდა რეპეტიციები ორ ახალ სპექტაკლზე („მოსასმენი თამაში მაყურებლისთვის“, რეჟისორი ზურაბ კანდელაკი და „უკანასკნელი უბიხის საყვირი“, რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი); პრემიერაც შედგება დეკემბრის თვეში (დახურული ჩვენება);
- 2024 წლის 3 ნოემბერს სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, თეატრის ლიდერთა საერთაშორისო ასოციაციის (IATL) პარტნიორი გახდა. თანამშრომლობის მემორანდუმი 3 ნოემბერს, სოხუმის თეატრში გაფორმდა. სოხუმის თეატრისათვის ამ მნიშვნელოვან დღეს, IATL-ის პრეზიდენტი, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების სპეციალისტი, მსოფლიოში ცნობილი თეატროლოგი ოქტავიან საიუ ეწვია, რომელმაც სოხუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან, რეჟისორ დავით საყვარელიძესთან ერთად, ხელი თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა.

2024 წლის დეკემბრის თვეში *სოხუმის თეატრის სცენა აქტიურად იყო გაქირავებული სხვადასხვა სახელოვნებო ორგანიზაციებზე, რაც თეატრისთვის დამატებითი შემოსავლის წყარო გახდა, კერძოდ: 10 დეკემბერი სპექტაკლი - „ეთერშია ჰელიოსი” 20:00 (ინკლუზიური თეატრი კონტაქტი)- დარბაზის დათმობა; 13, 14, 15 დეკემბერი - „ტრიუმფალური თაღი” - დარბაზის გაქირავება; 23, 24 დეკემბერი - მესხეთის თეატრი, (ვოდევილები - “იჭვიანი”, “ოინბაზი” და ასევე სპექტაკლი “გაქცევა”) - დარბაზის დათმობა; 25, 26 დეკემბერი - აფხაზეთის ცეკვის ანსამბლის საანგარიშო კონცერტი - დარბაზის გაქირავება; 27 დეკემბერი - კონცერტი - დარბაზის გაქირავება; 28 დეკემბერი - მუსიკალური ანსამბლი „მარგალიტი” - ერთობლივი ღონისძიება.*

მიღწეული/შუალედური შედეგი:

ზემოთ აღნიშნული აქტივობებისა და შემოქმედებითი ღონისძიებების გამართვით სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მიაღწია გეგმით დადგენილ შუალედურ შედეგს, პრიორიტეტიდან გამომდინარე: სოხუმის თეატრში შემოქმედებითი ცხოვრების გააქტიურება; კულტურისა და განათლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ჩართულობა.

გეგმა: 760,000.00 ლარი;
ხარჯი: 759,953.00 ლარი;
შესრულება: 99,9%;

სსიპ სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი (06 11 02)

განსაზღვრული პრიორიტეტები:

თეატრის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მსოფლიო და ეროვნულ ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა, მათი მეშვეობით თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა და მოზარდი ახალგაზრდობის მხატვრული აღზრდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, სასცენო ხელოვნების მეშვეობით სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა, საქართველოს თეატრალური ხელოვნების მსოფლიო კულტურულ სივრცეში გაერთიანება.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

აღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში სსიპ სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა საანგარიშო პერიოდში გამართა 20 სპექტაკლი:

იანვარი:

- „პინოქიო“ - რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „პინოქიო“ - რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა.

თებერვალი:

- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

მარტი:

- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდ სცენა;
- „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდი სცენა;
- „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“ - ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდი სცენა;
- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

აპრილი:

- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „მატყუარა“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „პინოქიო“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

მაისი:

- „ბრემენელი მუსიკოსები“ - სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენა;
- „ბრემენელი მუსიკოსები“ - სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენა;

ივნისი:

- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ სცენა;
- „ბრემენელი მუსიკოსები“ - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ სცენა;
- „პინოქიო“ - ქ. ონის კულტურის სახლის სცენა;
- „პინოქიო“ - ქ. ონის კულტურის სახლის სცენა.

ოქტომბერი:

- „კონკია“ პრემიერა - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;
- „კონკია“ პრემიერა - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

ნოემბერი:

- „კონკია“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

დეკემბერი:

- „კონკია“ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა;

➢

მიღწეული/შუალედური შედეგი:

სსიპ სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის მიერ არსებული რეპერტუარის მაყურებლისათვის წარდგენა ხელს უწყობს, როგორც თეატრის პოპულარიზაციას, ასევე, თეატრალური ხელოვნების პროპაგანდას, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებას.

გეგმა: 526,400.00 ლარი;
ხარჯი: 526,400 .00 ლარი;
შესრულება: 100%.

აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა
(06 11 04)

(წლიური გეგმა განსაზღვრულ იქნა 501,200.00 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 482,881.00 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 96.35 %-ია).

პრიორიტეტის აღწერა:

აფხაზეთის მუსიკალური ხელოვნების განვითარება; ქართული, აფხაზური და მსოფლიო საგუნდო და აკადემიური მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ; თანამედროვე ქართული და მუსიკალური შემოქმედების სტიმულირება.

პრიორიტეტის მიზანი:

კაპელის მაღალმხატვრული დონის განუხრელი დაცვა; მისი შემოქმედების ცნობადობის ამაღლება ქართველ და უცხოელ მსმენელთა წინაშე წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობა, ახლადშექმნილი მუსიკალური ნაწარმოებების წარმოჩენა, მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებში, ფესტივალებსა და პროექტებში საქართველოსა და უცხოეთში. ნიჭიერი შემოქმედებითი კადრების მოზიდვა-დაოსტატება, რეპერტუარის მრავალფეროვნება და განახლება, კონცერტების გამართვა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ღონისძიებები:

- 28 იანვარი - ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის დარბაზში ჩატარდა „საგუნდო მუსიკის საღამო“, სადაც აფხაზეთის კაპელა წარსდგა მაყურებლის წინაშე როგორც ქართველი, ასევე ევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებებით;
- 1 თებერვალი - შოთა რუსთაველის ეროვნული თეატრი, მონაწილეობა გალა-კონცერტში „აფხაზეთისთვის“, *(კონცერტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა);*
- 10 მარტი - მონაწილეობა ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოზე „ალექსანდრე ბასილაია-ზღაპარი სიყვარულისა“ ;
- 26 მარტი - თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტროსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა იოსებ კეჭაყმაძის 85 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. კონცერტზე აფხაზეთის კაპელამ კომპოზიტორის არაერთი ნაწარმოები შეასრულა;
- 30 მარტი - საქართველოს პირველი არხზე, გადაცემაში „ამ შაბათ - კვირას“, რომელიც ეძღვნებოდა ქართული საგუნდო მუსიკის კლასიკოსს, საქართველოს სახალხო არტისტს იოსებ კეჭაყმაძეს, აფხაზეთის კაპელამ შეასრულა კომპოზიტორის ნაწარმოები - „გაზაფხულის საღამოა მშვიდი“;

- 28 აპრილი - ვ.სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში, თბილისის საგუნდო მუსიკის XIV საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში შედგა გოგი ჩლაიძის მუსიკალური პოემის - „ანბანი ჩვენი“ - პრემიერა. გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო კაპელამ შესანიშნავად შეასრულა ნაწარმოები, მაყურებლის მხურვალე აპლოდისმენტები და სიმპათია დაიმსახურა;
- 26 მაისი - ქ.მცხეთაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო კაპელამ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა;
- 30 ივნისი - ქ. ბათუმში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გალა-კონცერტი - „აფხაზეთისთვის“ - გაიმართა, სადაც მაყურებლის წინაშე გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა წარსდგა;
- 14 ნოემბერი - გერმანელმა დირიჟორმა კორნელია ფონ კერსენბროკმა, თბილისის ბაროკოს ფესტივალის ფარგლებში აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელასთან ვორქშოფი ჩაატარა. მასრეკლასი მიეძღვნა გერმანული ენის დიქციასა და ლექსიკას;
- 21 ნოემბერი -კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით „თბილისის ბაროკო ფესტივალის“ ფარგლებში ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალრ -კულტურულ ცენტრში მე-10 საიუბილეო სეზონის ყველაზე მასშტაბური და მრავალფეროვანი „ქართული და ევროპული საეკლესიო მუსიკის“ საღამო გაიმართა. მუსიკალურ საღამოში მონაწილეობდნენ:გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი - „საქართველოს სინფონიეტა“, სოლისტები: კრისტინა ფანელი, ბენედეტა მაცუკატო, გეორგ პოპლუტცი, ფელიქს შვანდტკე, ასევე, სერჯო აცოლინი, სტეფან ნოდილო, გაბრიელ გრამესკი, ანა ქურდოვანიძე, დიეგო კანტალუპი, დირიჟორი კორნელია ფონ კერსენბროკი.
- პირველად საქართველოში, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ იოჰან სებასტიან ბახის „საშობაო ორატორიიდან“ მე-5 კანტატა ავთენტიკური შესრულებით ააჟღერა. კონცერტი დააგვირგვინა იან დისმას ზელენკას შედევრმა - „წმინდა სამების მესა“, აფხაზეთის კაპელის შესრულებით და გერმანელი დირიჟორის - კორნელია ფონ კენსერბროკის დირიჟორობით. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თინათინ რუხაძე, მინისტრის მოადგილე ბექა დავითულიანი , აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი დავით მორგოშია და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“ (06 11 03)

(წლიური გეგმა განსაზღვრულ იქნა 964.000.00 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 963,913.00 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 99.99 %-ია).

პრიორიტეტის აღწერა:

ქართული და აფხაზური ფოლკლორის პოპულარიზაცია; აფხაზეთის ფოლკლორული საშემსრულებლო ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება.

პრიორიტეტის მიზანი:

ანსამბლის მაღალი საშემსრულებლო დონე; ქართული და აფხაზური ფოლკლორის ნიმუშების გაცნობა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის, საქართველოსა და უცხოელი მაყურებლებისათვის; წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობა; მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებში, ფესტივალებსა და პროექტებში საქართველოსა და უცხოეთში. ნიჭიერი შემოქმედებითი კადრების მოზიდვა _ დაოსტატება; კონცერტების გამართვა; სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- 18-29 იანვარი - ანსამბლ „აფხაზეთის“ ერთმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო საუდის არაბეთში, ქალაქ აბჰაშში გამართულ ქემამის მთის ცეკვების საშემსრულებლო ფესტივალში;
- 19-23 იანვარი - ანსამბლ „აფხაზეთის“ ჯგუფი კონცერტებით იმყოფებოდა თურქეთის ქალაქებში - მერსინსა და ანკარაში;
- 1 თებერვალი - შოთა რუსთაველის ეროვნული თეატრი, მონაწილეობა გალა-კონცერტში „აფხაზეთისთვის“, *(კონცერტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა);*
- 7-10 თებერვალი - ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო საუდის არაბეთში, ქალაქ რიადში - „რიადის სეზონი- აჰლამის კონცერტში“ -საცეკვავო პროგრამით;
- 1-15 მარტი - ანსამბლმა პოლონეთის 13 ქალაქში 15 კონცერტი გამართა;
- 26-29 მარტი - ქალაქ დუბაიში ანსამბლმა ორი კონცერტი გამართა;
- 8 აპრილი - ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო რუსთაველის თეატრში გამართულ ჯამლეტ ხუხაშვილის საიუბილეო საღამოზე;
- 15 აპრილი - ანსამბლის მოცეკვავეებმა მონაწილეობა მიიღეს იმედის შოუში - „ვინ ვინ არის“;
- 17 მაისი - ანსამბლის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს იმედის შოუში - „ჩვენთან ერთად“;
- 21-24 მაისი - ანსამბლი საელჩოს მიწვევით იმყოფებოდა მოლდოვაში, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში;
- 25 მაისი - ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო შპს „კავკასიის ტრანსპორტი და ლოჯისტიკა“-ს მიერ გამართულ ღონისძიებაში;
- 26 მაისს ანსამბლი სრული შემადგენლობით წარსდგა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ გალა კონცერტზე;
- 27 მაისი - ვერის პანთეონში აფხაზეთიდან გმირების გადმოსვენებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ანსამბლის მომღერლები;
- 4 ივნისი - ანსამბლ „აფხაზეთთან“არსებულმა ბავშვთა ანსამბლმა - „ოტობაია“ - მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატის მიერ ქ. თბილისში, რიყეზე ორგანიზებულ ღონისძიებაში (აფხაზეთიდან დევნილი მეწარმე ქალების ხელნაკეთების გამოფენა);
- 13 ივნისი - ანსამბლის მოცეკვავეებმა მონაწილეობა მიიღეს თბილისი ჰილსის მიერ გამართულ - გოლფის ტურნირის დახურვის ღონისძიებაში;
- 30 ივნისი - ქ. ბათუმში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გალა-კონცერტი - „აფხაზეთისთვის“ - გაიმართა, სადაც მაყურებლის წინაშე ანსამბლი „აფხაზეთი“ არაერთი მუსიკალური ნომრით წარსდგა;
- 13 ივლისი - დაბა ყაზბეგში„მთის დღეები 2024“ გაიმართა, სადაც ანსამბლი მაყურებლის წინაშე, სრული შემადგენლობით, სოლო პროგრამით წარსდგა;
- 16-17 ივლისი - ანსამბლის მომღერალთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო, ქალაქ ზუგდიდში, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში, პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის IV საერთაშორისო ფესტივალზე - „კოლხი და...“;
- 29 ივლისი - ანსამბლმა სოლო კონცერტი ჩაატარა შაორის ახალგაზრდულ ბანაკში;
- 14 სექტემბერი - ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში;

- 15 სექტემბერი - ანსამბლმა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით სოლო კონცერტი გამართა;
- 18 სექტემბერი - ანსამბლმა მომსახურება გაწია კომერციული დაკვეთით და მონაწილეობა მიიღო წინანდალში გამართულ ღონისძიებაში;
- 24-26 სექტემბერს პორტუგალიაში, ქალაქ ლისაბონში ჩატარდა SBC sammit Lisbon; ამ ღონისძიების ფარგლებში გამართული კონფერენციებისა და გამოფენების დამსწრეთა წინაშე ანსამბლმა იცეკვა UFC - ის ქართველი ჩემპიონის მერაბ დვალიშვილის მხარდასაჭერად;
- 29 სექტემბერს ანსამბლმა სოლო კონცერტი ჩაატარა „ხაშურქალაქობა-2024"-ის დღესასწაულზე;
- 6 ოქტომბერს ეთნოგრაფიული მუზეუმში თბილისობის დღესასწაულზე ანსამბლის მომღერლებმა შეასრულეს სიმღერები, ხოლო ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა -„აფხაზეთი" - შეასრულა რამდენიმე ცეკვა;
- 23 ნოემბერს, ქალაქ ბათუმში, სოფლის ტურიზმის ფესტივალზე - „განდაგანა" - ანსამბლმა კონცერტი გამართა;
- 14-23 დეკემბერს ანსამბლს საგასტროლო ტურნე ჰქონდა პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში.

ა(ა)იპ აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო
ანსამბლი „შავნაბადა"
(06 11 05)

(წლიური გეგმა განსაზღვრულ იქნა 123,184 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 123,184 ათასი ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

პრიორიტეტის მიზანი:
ქართული და აფხაზური მუსიკის პოპულარიზაცია; ანსამბლის მაღალი საშემსრულებლო დონე; ქართული და აფხაზური მუსიკის გაცნობა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის, საქართველოსა და უცხოელი მაყურებლებისათვის; წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობა. საკონცერტო მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, ეროვნული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშების მოსახლეობის ფართო ფენებისთვის გაცნობა.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:
ქართული და აფხაზური მუსიკის პოპულარიზაცია; ანსამბლის მაღალი საშემსრულებლო დონე; ქართული და აფხაზური მუსიკის გაცნობა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის, საქართველოსა და უცხოელი მაყურებლებისათვის; წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობა. საკონცერტო მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, ეროვნული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშების მოსახლეობის ფართო ფენებისთვის გაცნობა.

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, საანგარიშო პერიოდში, აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა - „შავნაბადა" - განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- სატელევიზიო საახალწლო შოუებში მონაწილეობა;
- გადაცემა „აკუსტიკაში" მონაწილეობა;
- ქ. ბერლინში „Into the Open Music Festival" ში მონაწილეობა;

- 1 თებერვალი - შოთა რუსთაველის ეროვნული თეატრი, მონაწილეობა გალა-კონცერტში „აფხაზეთისთვის“, *(კონცერტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა);*
- ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეობა;
- საბავშვო კონკურს „რანინას“ ორ ტურში, მეგა-შოუს ფორმატის კონცერტსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;
- გადაცემა „აკუსტიკაში“ მონაწილეობა გორის ქალთა კამერულ გუნდთან ერთად;
- საქართველოს ბანკის სარეკლამო რგოლის მუსიკალური გაფორმება;
- 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით არაერთ ღონისძიებაში მონაწილეობა;
- ქალაქ სტამბოლში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს საელჩოს მიერ გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება;
- 15 ივნისი - საგარეჯოში, გარეჯობასთან დაკავშირებით ანსამბლი „შავნაბადა“ „რანინელებთან“ ერთად წარსდგა მსმენელის წინაშე;
- 30 ივნისი - ქ. ბათუმში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გალა-კონცერტი - „აფხაზეთისთვის“ - გაიმართა, სადაც მაყურებლის წინაშე ანსამბლი „შავნაბადა“ წარსდგა;
- 6, 7, 8 ივლისი - ანსამბლი ევროპის მაუწყებელთა გაერთიანების (EBU) ფოლკლორულ ფესტივალზე ქართულ-აფხაზური ხალხური მუსიკით წარდგა (გამართა სამი სოლო კონცერტი);
- აუდიო ალბომისთვის სიმღერების აღდგენა და ჩაწერა;
- მარნეულში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით გამართულ ღონისძიებაში - „მარნეულობა 2024" - მონაწილეობა;
- ია ნინიძის ვარსკვლავის გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობა;
- ანსამბლმა „შავნაბადამ” აფხაზეთის მთავრობის, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით სტრასბურგში კონცერტი გამართა. კონცერტები ევროპის საბჭოს და დემოკრატიის მსოფლიო ფორუმთან თანამშრომლობით გაიმართა.

სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“

(06 27)

პრიორიტეტის აღწერა:

სააგენტოს კულტურული მიმართულება მიზნად ისახავს ქართულ-აფხაზური კულტურის განვითარების ხელშეწყობას და მის პოპულარიზაციას; სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ასოციაციასთან და კავშირებთან კონტაქტის დამყარებას; კულტურული ღონისძიებების, გამოფენების, პრეზენტაციებისა და შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; დევნილი ბავშვების მუსიკალური, ქორეოგრაფიული განათლების ხელშეწყობასა და საჭირო პირობების შექმნას; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის წიგნების, საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალის „რიწა“, საყმაწვილო შემეცნებით-ლიტერატურულ ჟურნალის „იალქანი“ გამოცემას.

აფხაზეთში პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეობების განვითარების ხელშეწყობა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და განვითარება; აფხაზეთიდან დევნილი მომავალი თაობის

ფიზიკური აღზრდა, ტურნირების, სხვადასხვა ახალგაზრდული და შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობა; მრავალფეროვანი და საინტერესო პროექტების მხარდაჭერა.

სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ მიზნები და ამოცანები, მისი სამოქმედო გეგმა, შესაბამისი მიმართულების მიხედვით, ასე გამოიყურება: სააგენტოს კულტურული მიმართულება მიზნად ისახავს ქართულ-აფხაზური კულტურის განვითარების ხელშეწყობას და მის პოპულარიზაციას; კულტურული ღონისძიებების, გამოფენების, პრეზენტაციებისა და შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას; დევნილი ბავშვების მუსიკალური განათლების ხელშეწყობასა და საჭირო პირობების შექმნას; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის წიგნების, საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალ „რიწის“, საყმაწვილო შემეცნებით-ლიტერატურულ ჟურნალის „იალქანი“ გამოცემას; მრავალფეროვანი და საინტერესო პროექტების მხარდაჭერას.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულების მიზანია აფხაზეთში პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეობების განვითარების ხელშეწყობა; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და განვითარება; აფხაზეთიდან დევნილი მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა, ტურნირების, სხვადასხვა ახალგაზრდული და შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობა; მრავალფეროვანი და საინტერესო პროექტების მხარდაჭერა.

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ , საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

„კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა ხელშეწყობა“(06 27 01)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 585, 637.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 585, 124.74 ლარი, რაც გეგმის შესრულების 99.9 %-ია).

„კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა ხელშეწყობა“

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა“ სააგენტოს საქმიანობა ეყრდნობა მის დებულებას, რომელიც მოიცავს ორ მნიშვნელოვან მიმართულებას: კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს. კულტურა და სპორტი დამატებით ღირებულებას სძენს და ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას და საზოგადოების კეთილდღეობას.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი:

გაწეულ იქნა ადმინისტრაციული ხარჯი: თანამდებობრივი სარგო (შტატით მომუშავეთა); შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება; მივლინება ქვეყნის შიგნით; დამქირავებლის მიერ გაწეული სოც.დახმარება (ბიულეტენი); სააგენტოს საოფისე საჭიროების სხვა საქონელი და მომსახურება.

აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა (06 27 02)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 280, 415.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 228, 183.70 ლარით, რაც გეგმის შესრულების 81.4%-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

პრიორიტეტის მიზანი:

პროგრამა გულისხმობს ისეთი პროექტების ხელშეწყობას, რომლებიც უზრუნველყოფს კულტურის ხელმისაწვდომობას, ქართულ-აფხაზური შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას, ახალგაზრდა ხელოვანების საქმიანობის პოპულარიზაციას, კულტურის ტრადიციული და ახალი დარგების (საშემსრულებლო, ვიზუალური, შემოქმედებითი მიმართულებების და სხვა...) გაძლიერებას, აფხაზური კულტურის ინტეგრირებას საერთო კულტურულ რუკაზე, მის გატანას საერთაშორისო დონეზე და ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობას. დამოუკიდებელი სახელოვნებო ორგანიზაციების, ჯგუფების, ხელოვანების მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას.
დასახული მიზნების მისაღწევად პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ტიპის პროექტების და ღონისძიებების ხელშეწყობა/განხორციელებას: ფესტივალები და კონკურსები (ადგილობრივი და საერთაშორისო), ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები, შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოები, საგამომცემლო საქმიანობა, ლიტერატურული ნაშრომების თარგმანი, გამოფენები, თემატური ვორქშოფები და სხვა კულტურული ღონისძიებები.
პროგრამის მიზანია: აფხაზეთის კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარება, განვითარება, პოპულარიზაცია, მრავალფეროვანი პროექტების განხორციელება და ფინანსური ხელშეწყობა.

„შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა.“ (06 27 02 01)

(გეგმა განსაზღვრულ 22,909.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 22,909.00 ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია - ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოზარდ/ახალგაზრდების განსხვავებული, არაფორმალური მეთოდებით (ონლაინ) მუსიკისა და ხატვის სწავლების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა:

2023 წლის ნაკადის ბენეფიციარებისთვის მოეწყო 2024 წლის 29 მარტს ქ.ზუგდიდში, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საგამოფენო დარბაზში შემაჯამებელი შეხვედრა - გამოფენა, სადაც მოწვეულმა სტუმრება დაათვალიერეს ბენეფიციარების ნამუშევრები და მოისმინეს ქართულად შესრულებული სიმღერები. შემაჯამებელ შეხვედრაზე მონაწილეებს გადაეცათ სამაგიდო ასაწყობი „ფაზლი“, მუსიკის პედაგოგის მიერ მომზადებული SID დისკები, ხოლო კომპანია „მაკდონალდსმა“ უსასყიდლოდ უმასპინძლა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პროექტის მონაწილეებს.

2024 წლის 16 სექტემბერს განახლდა ქვეპროგრამა „შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა“, პროექტი გაგრძელდება 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მიღწეული შედეგი - ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოზარდების შემოქმედებითი უნარების განვითარება; ჩატარებული მუსიკისა და ხატვის მასტერკლასები; გამოფენა-შეხვედრა.

„კულტურული ინიციატივები“

ქვეპროგრამა კულტურული ინიციატივები (06 27 02 02)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 98,500.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 98,270.00 ლარით, რაც გეგმის შესრულების 99.8 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი ხელოვანების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების, საიუბილეო თარიღების, სხვადასხვა ტიპის გამოფენების, ლიტერატურული ნაშრომების თარგმანის და შემოქმედებითი საქმიანობის, როგორც ტრადიციული ისე თანამედროვე დარგებისა და მიმართულებების (ფოტოგრაფია, რეწვა, დიზაინი), ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების დაფინანსება/თანადაფინანსებას; საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, თავისუფალი თეატრალური პროექტების განხორციელებისა და თეატრალური ხელოვნების განვითარებას; ხელოვნების სხვადასხვა სფეროში - თანამედროვე და კლასიკური მუსიკისა და ქორეოგრაფიის, თეატრალური, სახვითი ხელოვნების ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობის დაფინანსება/თანადაფინანსებას.

ქვეპროგრამის მიზანია - ქართულ -აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია. მრავალფეროვანი და საინტერესო ინიციირებული პროექტების ფინანსური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი:

- 6 050 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ „კულტურის ინსტიტუტის“ მიერ შემოტანილი პროექტი - „აფხაზეთის კულტურის პოპულარიზაცია“;
- კომისიის გადაწყვეტილებით არ დაფინანსდა ა(ა)იპ „აფხაზეთი ჩვენის“ პროექტი - „აფხაზეთი ჩვენი“;
- 40 338 ლარით დაფინანსდა შპს „ბრავო რექორდსის“ აფხაზურენოვანი მუსიკალური პროექტი - „ერთ სიმღერას ვმღერით“;

- 5 000 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ „ქალები განათლებისა და დემოკრატიისთვის“ პროექტი - ნიკა ემუხვარის სახელობის ხელოვნების კონკურს-ფესტივალი - „გვესმოდეს ერთმანეთის“;
- 2 400 ლარით დაფინანსდა სსიპ სოხუმის გიორგი რატიანის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის პროექტი (სპექტაკლ „პინოქიოს“ გასტროლი, განხორციელდა 2024 წლის მე-3 კვარტალში);
- 2 010 ლარით დაფინანსდა სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“, (პროექტი - ,,ამბერტის სიმღერისა და ცეკვის მსოფლიო ფესტივალი“, განხორციელდა 2024 წლის მე-3 კვარტალში);
- კომისიის გადაწყვეტილებით არ დაფინანსდა ა(ა)იპ „იმედი“ - დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის პროექტი - „ქართულ-აფხაზური კულტურული მემკვიდრეობის გამოფენა ზუგდიდში“;
- 4 242 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ ცეკვის აკადემია „ლაზიკას“ პროექტი - „ქართული ფოლკლორის კოლხურ-ლაზური სიმღერისა და ცეკვის ფესტივალ-კონკურსი“. (განხორციელდა 22-23 ივნისს);
- 15 000 ლარით დაფინანსდა ინდივიდუალური მეწარმის, თამარ მახარაძის პროექტი „აფხაზური ალბომი“. (განხორციელდა 25 ივნისს);
- 5 000 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ ,,ქალები განათლებისა და დემოკრატიისთვის“ პროექტი - ნიკა ემუხვარის სახელობის ხელოვნების კონკურს-ფესტივალი „გვესმოდეს ერთმანეთის“;
- 3 500 ლარით დაფინანსდა სსიპ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „აფხაზეთის“ პროექტი - „აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „აფხაზეთის“ სოლო კონცერტი ქ.ზუგდიდში“, (საკასო შესრულება განხორციელდა მე-4 კვარტალში);
- 5 000 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ ბავშვის განვითარების ცენტრის - „დობადონა“ - პროექტი „ამრა“,(საკასო შესრულება განხორციელდა მე-4 კვარტალში);
- 8 500 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ კინოცენტრის - „ქართული ფილმი - აფხაზეთი“ - პროექტი - „წელიწადის ოთხი დრო“, მასტერკლასი ბორჯომსა და გარდაბანში (ვაზიანი) დევნილი ბავშვებისთვის, (საკასო შესრულება განხორციელდა მე-4 კვარტალში);
- 3 290 ლარით ლარით დაფინანსდა სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროექტი - ,,აფხაზი მხატვრების 1970-1980-იანი წლების საკურსო და სადიპლომო ნამუშევრების გამოფენა“, (საკასო შესრულება განხორციელდა მე-4 კვარტალში);
- არ დაფინანსდა: ა(ა)იპ ხელები მშვიდობისთვის მიერ წარმოდგენილი პროექტი - „შემოქმედებითი ინკლუზია“, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 19 000 ლარს. კომისიამ განიხილა და უარი თქვა დაფინანსების დადებით რეკომენდაციაზე;
- 3 699 ლარი და 50 თეთრით დაფინანსდა ა(ა)იპ თავისუფალ პედაგოგთა ცენტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი - „შესაძლებლობების სარკმელი“.

მიღწეული შედეგი - განხორციელებული პროექტი - „აფხაზეთის კულტურის პოპულარიზაცია“, კერძოდ, ჩატარებული სიმღერისა და ცეკვის კონცერტი ქ.ზუგდიდში. „ბრავო რეკორდსის“ მიერ შექმნილი, აფხაზეთში ყველაზე პოპულარული, თანამედროვე 10 (ათი) მუსიკალური ჰიტის ახლებური არანჟირება და შესრულება ცნობილი მომღერლების შესრულებით, რომელიც ჩაიწერა დისკის სახით.

„გზავნილი აფხაზეთიდან“
ქვეპროგრამა (06 27 02 03)

(ქვეპროგრამა „გზავნილი აფხაზეთიდან “ დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 44,500.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 0 ლარი).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია, კონკურსის ჩატარება შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროში, კერძოდ ვიზუალურ ხელოვნებაზე, (სკულპტურა) რომლის მთავარ თემას წარმოადგენს „გზავნილი აფხაზეთიდან.“ დედაქალაქის ერთ-ერთ სკვერში, სოხუმის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება თანამედროვე სკულპტურა.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი:

სააგენტო მიერ 2023 წელს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ესკიზთან დაკავშირებით, თუმცა გამარჯვებული ვერ იქნა გამოვლენილი და კონკურსი ჩაიშალა. განმეორებითი კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო 2024 წელს, თუმცა ქალაქ თბილისის მერიის მითითებით პროცესი დროებით შეჩერებულია, გამომდინარე იქიდან, რომ სოხუმის მოედანზე მერია ახორციელებს ადგილის დაგეგმარების განახლებას, იცვლება საგზაო მოძრაობის წესებიც, შესაბამისად დაგეგმარების პროექტის დამტკიცებამდე არ არის მიზანშეწონილი კონკურსის გამოცხადება, ვინაიდან შესაძლებელია ქალაქ თბილისის მერიამ სკულპტურის განსათავსებლად განგვისაზღვროს სხვა ადგილი.
აღნიშნულზე (27.09.2024 წლის N1225971) გაგზავნილ იქნა წერილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, ქვეპროგრამაში დარჩენილი აუთვისებელი თანხის, 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარის საჭიროებისამებრ განკარგვაზე. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ საჭიროებისამებრ განკარგა 35 500 ლარი, შედეგად რესურსის სახით დარჩა 44 500 ლარი.

ქვეპროგრამა ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობა (06 27 02 04)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 3 000 ლარი, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების გაჩენა და შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირების მაქსიმალური ჩართულობა კულტურულ პროცესებში.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- 3 000 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუთა კავშირის - „ჰერა“ - მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტი - „უსინათლო და მცირედმხედველი ბენეფიციარების თანაბარი ხელმისაწვდომობა ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე - აფხაზურ მხატვრულ ზღაპრებზე“.

მიღწეული შედეგი - მიხეილ ჩიქოვანის მიერ შედგენილი ხალხური ზღაპრების კრებულის აუდიო წიგნების სახით ჩაწერა.

ქვეპროგრამა საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (06 27 02 05)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 34,683.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 34,683.00 ლარი, რაც გეგმის შესრულების 100%-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქართველი მწერლების მხარდასაჭერად და ახალი სახეების აღმოჩენის მიზნით, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს პოპულარიზაციისა და აფხაზეთის თემაზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურის, პუბლიცისტური კრებულების, საისტორიო-სამეცნიერო ნაშრომების, კატალოგების, ხელოვნების სფეროს (მხატვრობა, ქორეოგრაფია, თეატრი...) წარმომადგენლებზე მომზადებული მხატვრული თუ დოკუმენტური წიგნების გამოცემის ხელშეწყობას. დასაბეჭდი მასალა უნდა იყოს გამოუქვეყნებელი, კონცეფცია - აქტუალური, ხარისხი - მაღალი მხატვრული ღირებულებების მატარებელი, რომელიც ეხმიანება თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბეჭდვითი ღონისძიებები (არაუმეტეს 300 ეგზემპლარისა); საგამომცემლო საქმიანობის ფარგლებში ფინანსდება, როგორც ინიციატივებით შემოსული განაცხადები, რომელსაც განიხილავს სპეციალური კომისია, ასევე, სააგენტოს მიერ ინიციირებული პროექტები, სადაც იბეჭდება პერიოდული ჟურნალები „რიწა“, „იალქანი“ და სააგენტოს რედაქციის მიერ მომზადებული წიგნები. თემატიკა უნდა პასუხობდეს სააგენტოს დებულების მოთხოვნებს, ასახავდეს აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებს და მოვლენებს. „იალქნისა“ და „რიწის“ რედაქციის მიერ წარმოდგენილი პროექტები მოიცავს მთარგმნელობით მომსახურებასაც. პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტოს მიერ გამოცემული ჟურნალებისა და წიგნების ნაწილი გავრცელდება ფართო საზოგადოებაში, დარიგდება სხვადასხვა ღონისძიებაზე, პრეზენტაციებზე, ხოლო ნაწილის რეალიზება მოხდება საკუთარი შემოსავლის მიღების მიზნით. ქვეპროგრამა არ ითვალისწინებს ინიციატივების ფარგლებში შემოსულ ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო, იურიდიული ლიტერატურის, ასევე - პერიოდული გამოცემების: ჟურნალი, ალმანახი, გაზეთი, ბუკლეტი - დაფინანსებას.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი:

სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ მიერ 2024 წლის 26 მარტს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი სააგენტოს პერიოდული ჟურნალების, სააგენტოს მიერ ინიციირებული და ინიციატივებით შემოსული მოთხოვნების საფუძველზე გამოსაცემ წიგნებზე:

- სააგენტოს პერიოდული საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალი „რიწა“ – (ქართულ-ინგლისური);
- სააგენტოს პერიოდული შემეცნებითი ლიტერატურული ჟურნალი „იალქანი“ ყმაწვილთათვის - გამოცემა N1,N2;

- ჟურნალ „იალქანის“ რედაქტორის მიერ ინიციირებული წიგნი - ლიანა მიქაშავიძის „სოხუმის თეატრი გისმენთ“;
- გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ წარმოდგენილი ნანა აკობიძის წიგნი - „სამი ომი“;
- ხუტა კვარაცხელიას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ფერწერულ ნამუშევართა კატალოგი;
- შპს „ნოდარ დუმბაძის გამომცემლობისა“ და ლიტერატურული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ნოდარ დუმბაძის წიგნი „გული“ (ქართულ-აფხაზური);
- ჟანა ოთხვანის მიერ წარმოდგენილი პოეზიის კრებული - „მშვიდობა მსოფლიოს“.

II კვარტალში გამოიცა:

- ნოდარ დუმბაძის წიგნი - „გული“ (ქართულ-აფხაზური);
- საყმაწვილო შემეცნებითი ლიტერატურული ჟურნალი „იალქანი“;
- ხუტა კვარაცხელიას ფერწერულ ნამუშევართა წიგნი-ალბომი (კატალოგი).

III კვარტალში გამოიცა:

- ნანა აკობიძის წიგნი - „სამი ომი“;
- საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალი „რიწა“ – (ქართულ-ინგლისური);
- ჟანა ოთხვანის პოეზიის კრებული - „მშვიდობა მსოფლიოს“.

IV კვარტალში გამოიცა ჩატარებული ტენდერის ფარგლებში:

- გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წარმოდგენილი, წიგნი „მშობლიური ბედისწერა“;
- სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს მიერ ინიციირებული წიგნი „აფხაზეთის სპორტული ქრონიკები“;
- სააგენტოს ქვეპროგრამის „შემოქმედებითი ზაფხულის“ ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის „ვილაპარაკოთ აფხაზეთზე,“ ფინალისტების მიერ შექმნილი ლიტერატურული ნაშრომების კრებული.

მიღწეული შედეგები *- აფხაზეთიდან დევნილი ავტორების /აფხაზეთის თემატიკაზე გამოსაცემი ჟურნალებზე და წიგნებზე გამოცხადებული ტენდერი. გამოცემული წიგნი.*

„მე აფხაზეთისთვის“

(06 27 02 06)

(ქვეპროგრამა „მე აფხაზეთისთვის“ გეგმა განსაზღვრულ იქნა 7,500.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 0 ლარი).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს სამოქმედო გეგმის მიხედვით უნდა განეხორციელებინა ქვეპროგრამა „მე, აფხაზეთისთვის," რომელსაც სააგენტო ყოველ წელს ჟურნალ „სითისთან" ერთად მემორანდუმის საფუძველზე ერთობლივად ახორციელებდა. პროექტი საზოგადოებაში „მანდარინების" სახელით იყო ცნობილი. ერთობლივი მემორანდუმის საფუძველზე ჟურნალი „სითი" აცხადებდა კონკურს თემაზე „მე აფხაზეთისთვის". მის ონლაინ პლატფორმაზე შერჩევის პროცესი გრძელდებოდა ერთი თვე. კონკურსის ფარგლებში, ჟურნალის პოლიტიკიდან გამომდინარე, შეირჩეოდა 10 კონკურსანტი. მიმდინარე წელს, გამომცემლობაში მიმდინარე რეორგანიზაციასთან (ახალ პლატფორმაზე, ახალ საიტზე გადასვლასთან) დაკავშირებით ჟურნალმა - „სითი" ვერ შეძლო ამ პროექტის მხარდაჭერა. აღნიშნულთან დაკავშირებით ქვეპროგრამა ვერ განხორციელდა, რის შესახებაც წერილობით ეცნობა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს.

„საახალწლო ზეიმი"

ქვეპროგრამა (06 27 02 07)

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

დევნილი ბავშვებისა და მოზარდებისთვის საახალწლო განწყობისა და მხიარული ატმოსფეროს შექმნის მიზნით ხორციელდება საახალწლო სპექტაკლები. წარმოდგენის დასრულების შემდგომ, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო ბავშვებს საახალწლო საჩუქრებს გადასცემს.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

„საახალწლო ზეიმის" ფარგლებში 2023 წელს შეძენილ იქნა საახალწლო სასაჩუქრე ნაკრები 1 000 ბენეფიციარისთვის. გაიმართა საახალწლო სპექტაკლები, სპექტაკლის ბოლოს ბავშვებს გადაეცათ საახალწლო საჩუქრები: დეკემბერში - 515 საახალწლო ნაკრები, ხოლო იანვარში 485 საახალწლო სასაჩუქრე ნაკრები.

2024 წლის 10 იანვარს ბორჯომში, თოჯინების სახელმწიფო თეატრში, ბორჯომის რაიონში კომპაქტურ ჩასახლებაში მცხოვრები დევნილი ბავშვებისთვის გაიმართა სპექტაკლი „მოგვთა საჩუქარი", რომლის დასრულების შემდგომ დარიგდა 100 ნაკრები საახალწლო საჩუქარი, ხოლო 23 იანვარს სენაკში, აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში დევნილი ბავშვებისთვის გაიმართა სპექტაკლი „ჩიპოლინოს თავგადასავალი", რომლის დასრულების შემდგომ ბავშვებზე გაიცა საახალწლო საჩუქრები (385 ნაკრები).

ქვეპროგრამა „სიყვარულით, თქვენთვის" (06 27 02 08)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 52,000.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 51,999.60 ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთობის დღესასწაულის აღნიშვნას, სააგენტოს მიერ გამოცემული ჟურნალებისა და წიგნების პრეზენტაციას, რეგიონებში მცხოვრები დევნილი ბავშვების მიწვევას თოჯინების თეატრში, მუზეუმის ტურებში და სხვა შემეცნებითი აქტივობების ჩატარებას. შშმ ბავშვების მონაწილეობით ღონისძიების ჩატარებას, სხვა კულტურული აქტივობების ჩატარებას, მოზარდებისთვის სიმბოლური საჩუქრების გადაცემას; ქვეპროგრამის მიზანია თბილისსა და რეგიონში მცხოვრები დევნილი ბავშვების გახალისება, აფხაზეთის დღის სახალხო ზეიმად ქცევა, რომლის ფარგლებშიც საზოგადოება უფრო მეტად გაიცნობს ქართულ-აფხაზური კულტურის საერთო ნიშან-თვისებებსა და ტრადიციებს.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი:

- 1 თებერვალს, რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ დარბაზში გაიმართა გალა კონცერტი სახელწოდებით „აფხაზეთისთვის“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სააგენტოსთან არსებულმა გოგონათა ფოლკლორულმა ანსამბლმა - „გუმბათი“. თეატრის ფოიეში მოეწყო ჟურნალების - „რიწა“ და „იალქანი“ - პრეზენტაცია. მოწვეულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ ჟურნალ „რიწისა“ და „იალქნის“ ნომრები;
- 21 თებერვალს, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გაიმართა ჟურნალ „რიწის“ ახალი ნომრის პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოსულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ ჟურნალ „რიწის“ ნომრები;
- 7 მარტს, გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანის მე-2 საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი - „ამბები აფხაზეთიდან“ . სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა საჯარო ლექცია და შემაჯამებელი ვიქტორინა, რომლის სამ გამარჯვებულს გადაეცა სიმბოლური საჩუქრები;
- 18-19 მარტს, დაუნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შშმ მოზარდებს ილუზიის მუზეუმმა უსასყიდლოდ უმასპინძლა. მუზეუმში სხვადასხვა სახალისო აქტივობა განხორციელდა. შპს „მინისომ“ პროექტში მონაწილე ბავშვები თავისი პროდუქციით გაახარა, ხოლო სააგენტომ საჩუქრად გადასცა სამაგიდო ასაწყობი „ფაზლი“;
- 4 ივნისს, აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებითა და სსიპ კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს მონაწილეობით ერთობლივი ღონისძიება გაიმართა რიყის პარკში, სადაც წარმოდგენილი იყო, როგორც აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების ხელნაკეთი ნივთებისა და პროდუქციის გამოფენა, ასევე სააგენტოს მიერ გამოცემული სხვადასხვა სახის ლიტერატურული გამოცემა. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა სააგენტოს გოგონათა ფოლკლორულმა ანსამბლმა - „გუმბათი“;
- 8-9 ივნისს სააგენტოს გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „გუმბათი“ მიწვეული იყო ქ.ზუგდიდში - „ხელოვნების საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში“, სადაც ასევე მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენლები საფრანგეთიდან, ყაზახეთიდან, სომხეთიდან და სხვა;
- 10 ივნისს, გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანის მეორე საჯარო სკოლაში ჩატარდა ჟურნალ „იალქანის“ ახალი ნომრის პრეზენტაცია და შეხვედრა მკითხველებთან;
- 2024 წლის 11 ივნისს, თბილისში, ვახტანგ სალარიძის საკონცერტო დარბაზში აღინიშნა „აფხაზეთის დღე 2024“. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლ „შავნაბადას“ კონცერტი და აფხაზეთში ყველაზე მოსმენადი და პოპულარული თანამედროვე მუსიკალური ჰიტების ახლებურად გააზრებული და არანჟირებული ვერსიები. ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 4 847 ლარი;
- 17 ივლისს, თიბისი კონცეპტში, ქვეპროგრამის - „სიყვარულით თქვენთვის“ - ფარგლებში, გაიმართა განახლებული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალ „რიწის“

ქართულ-ინგლისურენოვანი (სპეციალური გამოცემა) ნომრის პრეზენტაცია. მოწვეულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ ჟურნალ „რიწის“ ახალი ნომერი;

- 25 სექტემბერს, ქვეპროგრამის ფარგლებში, კერძო სკოლა „ქორალში“ ჩატარდა ლექცია-სემინარი - „ამბები აფხაზეთიდან“, საჯარო ლექცია ისტორიკოსმა სვიმონ მასხარაშვილმა და თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძემ გამართეს. დასასრულს, შემაჯამებელი ვიქტორინის გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ;
- ფერწერის მასტერკლასისთვის, რომელიც გაიმართება ქალაქ ფოთში, 2024 წლის მე-4 კვარტალში შეძენილ იქნა სამხატვრო მასალები, პროექტში მონაწილეობას ფოთში მცხოვრები დევნილი მოზარდები მიიღებენ, მასტერკლასს წარუძღვება მხატვარი ხუტა კვარაცხელია;
- გოგონათა ფოლკლორულმა ანსამბლმა - „გუმბათი“ - მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

    - 19 ივლისი - ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „არტ-გენი“;
    - 16 სექტემბერი - კულტურის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული საღამო „ქალაქ მზიურში“;
    - 24 სექტემბერი - სოხუმის დაცემის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების - „აფხაზეთი ჩვენი 2024“- მუსიკალურად გაფორმება.

- ქვეპროგრამის „სიყვარულით თქვენთვის “ ფარგლებში, 18 ნოემბერს, ქალაქ ფოთში საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ტერიტორიაზე (ფოთის შუქურა), მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებული დევნილი მოზარდებისთვის სამხატვრო მასტერკლასი ჩატარდა. მასტერკლასს ცნობილი დევნილი მხატვარი ხუტა კვარაცხელია უძღვებოდა (შემეცნებით სალექციო კურსი და მასტერკლასი). პროექტში მონაწილე ბავშვებს სააგენტოსგან გადაეცათ საჩუქრები და მასტერკლასის დროს შექმნილი მათივე ნამუშევრები;
- 2024 წლის 20 დეკემბერს ვალერი არქანიას სახელობის გალერეაში შშმ ბავშვების მონაწილეობით გაიმართა საახალწლო ზეიმი. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა შშმ ბავშვების პარაორკესტრმა. მონაწილეებს სააგენტოსგან საახალწლო საჩუქრები გადაეცათ;
- 21 დეკემბერს, ბაკურიანში, ღონისძიებაზე - „შესაძლებლობები უსაზღვროა“ - ბენეფიციარებს გადაეცა 22 საახალწლო სასაჩუქრე ნაკრები;
- 24 დეკემბერს სააგენტო 30 შშმ ბავშვს უმასპინძლა გასართობ ცენტრ - „შპს ქიდს თაიმ 1“-ში. ბენეფიციარებს სააგენტოსგან გადაეცათ საახალწლო საჩუქრები;
- 25 დეკემბერს ვალერი არქანიას სახელობის არტგალერაში გაიმართა საახალწლო ზეიმი სსმ ბავშვების მონაწილეობით, სადაც მათი საახალწლო განწყობისთვის იზრუნეს ანიმატორებმა. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა სააგენტოს გოგონათა ანსამბლმა - „გუმბათი“. ღონისძიების მონაწილე 55 სსმ ბავშვს და ანსამბლის 13 მონაწილეს სააგენტოსგან საახალწლო საჩუქრები გადაეცათ;
- 27 დეკემბერს საქართველოს მხატვართა კავშირის გალერეა „ოპიზარიში“ გაიმართა აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების საშობაო ჯგუფური გამოფენა. მხატვრებს საჩუქრად ნამუშევრებისთვის ჩარჩოები გადაეცათ.

მიღწეული შედეგები _ *გალა კონცერტის „აფხაზეთისთვის“ და ჟურნალ „რიწის“ პრეზენტაციის გამართვა; შშმ ბავშვების მიწვევა ილუზიის მუზეუმში; ლექცია-სემინარის „ამბები აფხაზეთზე“ ჩატარება, ანსამბლ „გუმბათის“ მიერ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა“.*

ქვეპროგრამა „ფერწერა აფხაზეთიდან“ (06 27 02 09)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 5,000 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 4,999.60 ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილი მოზარდების და პროფესიონალი მხატვრების ნამუშევრების გამოფენებს; ასევე მოხდება სხვადასხვა ფერწერული ტილოების შესყიდვა და ღვაწლმოსილი ქალბატონების დაჯილდოება ქალთა საერთაშორისო დღესთან (8 მარტი) დაკავშირებით; აფხაზეთის თემაზე დევნილ ბავშვებს ჩაუტარდებათ პროფესიონალი მხატვრების მასტერკლასები, მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების ნამუშევრები დატანილ იქნება (დაიბეჭდება) სამაგიდო კალენდარზე.

ქვეპროგრამის მიზანია - ფერწერის პოპულარიზაცია, პროფესიონალი მხატვრების, მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდ-ახალგაზრდების მხარდაჭერა და მათი მოტივაციის ამაღლება. ამაგდარი ადამიანებისთვის პატივის მიგება.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი:

- 2024 წლის 4 მარტს, ქალთა დღესთან დაკავშირებით, სასტუმრო „რუმს ჰოტელში“ გაიმართა ღონისძიება ხელოვანები დევნილი მეწარმე ქალბატონებისთვის. მონაწილეებს ტრადიციულად აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების ნამუშევრები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ;
- ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში გაიხსნა გამოფენა - „გაზაფხულის ფერები“. გალერეაში წარმოდგენილი იყო აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა ქალბატონების: ლელა შარაბიძის, რიტა შამუგიას და მარიამ ბერძენიშვილის – პერსონალური ნამუშევრები. გამოფენა მიზნად ისახავდა აფხაზეთიდან დევნილი, ხელოვანი ქალების მხარდაჭერას და მათ პოპულარიზაციას საზოგადოების ფართო წრეებში;
- 20-22 მარტს დაუნის და აუტიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვალერი არქანიას სახელობის არტ გალერეაში შშმ ბავშვების მონაწილეობით გაიმართა გამოფენა - „მოზაიკა“ . პროექტში მონაწილე ბენეფიციარებს საჩუქრად გადაეცათ ქოთნის ყვავილები.

მიღწეული შედეგები - *ფერწერის პოპულარიზაცია; წარმატებული მეწარმე ქალბატონების დაფასება; გამოფენების ჩატარება;*

ქვეპროგრამა „შემოქმედებითი ზაფხული“ (06 27 02 10)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 12,323.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 12,322.00 ლარი, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზაფხულის არდადეგებზე კონკურსის გამოცხადებას, რომელიც ხორციელდება ოთხ ეტაპად და მიზნად ისახავს აფხაზეთის თემაზე მხატვრული ნაწარმოების შექმნას.

საუკეთესო ნაშრომის შერჩევის შედეგად, კონკურსში მონაწილე ახალგაზრდებს არაფორმალურ გარემოში უტარდებათ მასტერკლასები და შედეგად ვლინდება გამარჯვებული. პროექტის მიზანია ახალგაზრდებისთვის შემოქმედებითი გემოვნების ამაღლება, აფხაზეთის გახსენება, საუკეთესო ნაშრომების გამოცემა ერთ წიგნად.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

2024 წლის 24 ივნისს გამოცხადდა ლიტერატურული კონკურსი „ვილაპარაკოთ აფხაზეთზე.“

კონკურსი სამ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე გამოცხადდა კონკური, სადაც მონაწილეობა მიიღეს 16-დან 18 წლამდე მოზარდებმა. მათ გადმოაგზავნეს საკუთარი ლიტერატურული ნამუშევრები აფხაზეთის თემაზე. საკონკურსო განცხადებებიდან კონფიდენციალურმა ჟიურიმ 10 ფინალისტი შეარჩია. მეორე ეტაპზე ლიტერატურული კონკურსის ფინალისტებმა იმპროვიზაციულ ტურში გადაინაცვლეს, სადაც ლიდერთა ჯგუფთან ერთად ორი დღე არაფორმალურ გარემოში გაატარეს, მათ წინასწარ განსაზღვრულ დროში, მიიღეს კონკრეტული დავალება - შეექმნათ (აფხაზეთის თემატიკაზე) ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელიც წიგნად გამოიცა. მონაწილეებს ჩაუტარდათ ვორქშოპები, მასტერკლასები.

დასკვნით ეტაპზე, ჟიურის მიერ გამოვლინდა სამი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი: I ადგილი - ლიკა შულაია, II ადგილი - მარიამ არეშიძე, III ადგილი - ელენე ყულიაშვილი (აფხაზეთიდან დევნილი) რომელთაც სპეციალური პრიზები გადაეცათ. 2024 წლის 23 დეკემბერს, ვალერი არქანიას არტგალერეაში გაიმართა პროექტის ფარგლებში გამოცემული წიგნის პრეზენტაცია და ფინალისტების დაჯილდოება.

მიღწეული შედეგი - გამარჯვებული ფინალისტების გამოვლენა, ფინალისტების ნამუშევრების გამოცემა კრებულის სახით.

„სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობა“ (06 27 03)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 279,168.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო 269,103.27 ლარი, რაც გეგმის შესრულების 96.4%-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

პრიორიტეტის მიზანი:

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების ხელშეწყობას, სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების/გუნდების ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებზე, ფორუმებში, კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის მისაღებად ხელშეწყობას, ახალგაზრდული საქმეების ჩატარება/ხელშეწყობას. პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად: ტურნირების, სხვადასხვა ახალგაზრდული შეჯიბრებებისა და სპორტული და შემეცნებითი სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობას. ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით პროგრამა ინტეგრირებულია როგორც საგანმანათლებლო, ასევე შემეცნებითი კომპონენტებით. ითვალისწინებს ახალგაზრდების ინფორმირებას სხვა პრიორიტეტულ საკითხებზე, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას აღნიშნულ პროცესებში.

პროგრამის მიზანია სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობა. სპორტისა და ახალგაზრდული საქმეების მდგრადობის უზრუნველყოფა და მეტი ღონისძიების თანადაფინანსება/განხორციელება. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული/გამართული სხვადასხვა სპორტული, შემეცნებითი ღონისძიებები; ხელშეწყობილი ტურნირები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სპორტის პოპულარიზაცია და მოტივაციის ამაღლება. ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა პრიორიტეტულ პროცესებში.

პროგრამის მიზანია სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული/გამართული სხვადასხვა სპორტული, შემეცნებითი, ახალგაზრდული ღონისძიებები, ხელშეწყობილი ტურნირები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

„ქვეპროგრამა სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“

(06 27 03 01)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 87,361.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 87,360.24 ლარით, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობას; სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების/გუნდების მიერ ინიციირებული ღონისძიებების ხელშეწყობას ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებზე, ფორუმებში, კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის ხელშეწყობას. ამასთანავე, ტურნირების, ჩემპიონატების, სხვადასხვა ახალგაზრდული შეჯიბრებების, სპორტული და შემეცნებითი სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობას. ქვეპროგრამის მიზანია სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა პოპულარიზაცია და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა შემეცნებით და პრიორიტეტულ პროცესებში.

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა პოპულარიზაცია; ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა შემეცნებით და პრიორიტეტულ პროცესებში; ჩატარებული სხვადასხვა სპორტული, შემეცნებითი ღონისძიებები, ტურნირები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ხელშეწყობილი; ახალგაზრდული საქმეების განვითარება/ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი:

- 2 980 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი სოხუმის კოლხა - საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ U18 „ა“ და U20 ლიგაში მონაწილეობისათვის;
- 4 000 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი „სოხუმის შტორმის“ პროექტი, შედეგად, შეძენილი სპორტული ინვენტარითა და გადარიცხული სამონაწილეო თანხით, კლუბი მონაწილეობას იღებს 14 წლამდელთა „ც“ ლიგის ჩემპიონატში, კლუბის წევრების უმეტესი ნაწილი აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენია;

- 4 100 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ საფეხბურთო გუნდი აფხაზეთი 2017-ის პროექტი - „საქართველოს მოყვარულთა ლიგა“, შედეგად, შეძენილი ფეხბურთის ბურთებით და გადარიცხული სამონაწილეო თანხით, გუნდი მონაწილეობას იღებს საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატში - „კროკობეთ მოყვარულთა ლიგა“. გუნდში 13 სპორტსმენი აფხაზეთიდან დევნილია;

- 5 610 ლარით (კომისიის გადაწყვეტილებით) დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციის პროექტი - „საერთაშორისო ღია ტურნირი ფარიკაობაში - აფხაზეთის თასი“ (ტურნირი ჩატარდა 17 – 19 მაისს, მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის სახელით მოასპარეზე 12-მა მოფარიკავე მოზარდმა);
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2024 წლის 16 აპრილის ბრძანება N65 საფუძველზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 4 320 ლარი აფხაზეთიდან დევნილი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენებისთვის _ ლაშა მიქავასა და ზურაბ სოხაძისთვის განსაკუთრებული მორგების (სპორტული) ეტლების შესაძენად. შეძენილი ეტლები გადაეცათ სპორტსმენებს;
- დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რაგბის ფედერაციის პროექტი - „აფხაზეთის რაგბის ფესტივალი“, სადაც მონაწილეობა მიიღო გალის ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრებმა 20 სპორტსმენმა და 3 მწვრთნელმა. „აფხაზეთის რაგბი ფესტივალი“ გაიმართა ასპინძის რაგბის ბაზაზე 2024 წლის 14-16 ივნისს;
- 1 660 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პროექტი - „ქ.სოფიაში კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე ნინო ხარაიშვილის გამგზავრება“, (***2024 წლის 27-30 ივნისს ბულგარეთის ქალაქ სოფიაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში კადეტთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ძიუდოს გოგონათა ნაკრებმა, მათ შორის აფხაზეთიდან დევნილმა ნინო ხარაიშვილმა)***;
- 4 848 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის ა/რ მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პროექტი - „აფხაზეთის თასი მაგიდის ჩოგბურთში“, ***(ტურნირი ჩატარდა 2024 წლის 27 ივლისს სენაკის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის N7 საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში, 17 წლამდე გოგონებსა და ვაჟებს შორის. ტურნირში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა და დევნილთა დასახლებაში მცხოვრებმა პირებმა);***
- 5 750 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ ოჩამჩირის საზოგადოებრივი კავშირის პროექტი - „სპორტი მშვიდობისთვის“. ***(შეძენილი სპორტული ინვენტარი გადაეცა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ საფეხბურთო გუნდებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ფეხბურთის ტურნირებზე)***;
- 3 740 ლარით დაფინანსდა შპს აფხაზეთის ბავშვთა საფეხბურთო აკადემია „ჯვაროსნების“ პროექტი - „2009/2010 წელს დაბადებულ მოზარდებს შორის საქართველოს ბავშვთა ფეხბურთის ასოციაციის თბილისის თასი - 2009-2010 წ.წ.“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2024 წლის 12 აგვისტოს ბრძანება N115-ის საფუძველზე, (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან) 2 500 ლარით დაფინანსდა, ა(ა)იპ აფხაზეთის ძიუდოს აკადემია სპორტსმენებისათვის საჭირო ეკიპირების (კიმონო) შესაძენად;
- 3 800 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბ „გაგრა-ამრას” განაცხადი - „2024 – 2025 წლის საკალათბურთო სეზონში ბურთების შეძენა საკალათბურთო კლუბი გაგრა-ამრასთვის“;
- 11 900 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პროექტი - „უკრაინა-საქართველოს საფეხბურთო მატჩის ეკრანიზაცია“ (2024 წლის 11 ოქტომბერს ოთხ მსხვილ კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის მოხდა უკრაინა-საქართველოს ნაკრებებს შორის საფეხბურთო მატჩის ეკრანიზაცია, რომელსაც 4000 მაყურებელი დაესწრო);
- 3 000 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის ძიუდოს აკადემიის პროექტი - „ტურნირისთვის აკადემიის ძიუდოისტებისთვის კიმონოების შეძენა“. (შეძენილი კიმონოებით, აფხაზეთის ძიუდოს აკადემიის სპორტსმენებმა აფხაზეთის სახელით მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტურნირებზე);
- 6 012.24 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციის პროექტი - „საცხენოსნო შეჯიბრი აფხაზეთის თასი

დაბრკოლებათა გადალახვაში“. საცხენოსნო შეჯიბრი დაბრკოლებათა გადალახვაში კაჭრეთის ამბასადორში 2024 წლის 16 ნოემბერს ჩატარდა;

- 1 610 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი სოხუმის შტორმის პროექტი - „ს.კ სოხუმის შტორმისთვის სამონაწილეო თანხით და სპორტული ეკიპირებით უზრუნველყოფა“. (კლუბი დაკომპლექტებულია აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისგან, ს.კ სოხუმის შტორმი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 2024-2025 წლის ჩემპიონატის 14 წლამდელთა „ბ“ ლიფის საკვალიფიკაციო ეტაპზე);
- 10 155 ლარით დაფინანსდა ა(ა)იპ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პროექტი - „ნოდარ მათიაშვილისა და ვლადიმერ ბარქაიას სახელობის ტურნირები მინი-ფეხბურთში“. (2024 წლის 30 ნოემბერს და 01 დეკემბერს წყნეთში ჩატარდა ნოდარ მათიაშვილის სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში. მონაწილეობა მიიღო ექვსმა გუნდმა (წყნეთი, ცხუმი, პორტი, ოდიში, დინამო ბაგები,ელიტა) გამოვლინდნენ გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები: I ადგილი - „პორტი“, II ადგილი - „ელიტი“, III ადგილი - „ცხუმი“, ბომბარდირი - ანდრია სხირტლაძე, საუკეთესო ფეხბურთელი - ირაკლი ჩხეიძე, საუკეთესო მეკარე - რეზი ფაცურია);
- 2024 წლის 07 – 08 დეკემბერს ქ.ზუგდიდში ზედა ეწერის აფხაზეთის N15 საჯარო სკოლის დარბაზში ჩატარდა ვლადიმერ ბარქაიას სახელობის ტურნირი მინი-ფეხბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო რვა გუნდმა (ფახულანი, ბარამიას დასახლება, აფხაზეთი N1, N7, N10, N11, N12, N15, საჯარო სკოლები) I ადგილი - აფხაზეთის N15 სკოლა, II ადგილი - აფხაზეთის N11 სკოლა, III ადგილი - აფხაზეთის N10 სკოლა. საუკეთესო ფეხბურთელი - ლუკა კუხალეიშვილი, საუკეთესო მეკარე - ლუკა ქიზიყურაშვილი, ბომბარდირი - ნიკა პაპავა.

მიღწეული შედეგები - *სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია და განვითარება, აფხაზეთის ახალგაზრდა თაობის ჩაბმა სპორტის სხვადასხვა სპორტულ სახეობაში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ჩატარებული, მხარდაჭერილი ტურნირები და სპორტული ღონისძიებები. ჩატარებული, მხარდაჭერილი ტურნირები და სპორტული ღონისძიებები, შეძენილი განსაკუთრებული მორგების (სპორტული) ეტლები.*

„სპორტი გვაერთიანებს“ (06 27 03 02)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 19,543.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 19,320.01 ლარი, რაც გეგმის შესრულების 98.9 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ტურნირების განხორციელებას თავისუფალ ჭიდაობასა და მინი ფეხბურთში (უწყებათაშორისი); თავისუფალი ჭიდაობის ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც აფხაზეთიდან დევნილი, ასევე საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდა სპორტსმენები; მინი ფეხბურთში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის ა/რ მთავრობის სამინისტროების და უწყებების თანამშრომლები. ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს აფხაზეთის სახელით ასპარეზობას (ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში) საქართველოს ჩემპიონატებში თავისუფალი სტილით ჭიდაობაში.

ქვეპროგრამის მიზანია - ქვეპროგრამით უზრუნველყოფილი ტურნირები; აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების ხელშეწყობა ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის მისაღებად. ახალგაზრდების დაინტერესება სპორტით და მათი ჩამოშორება ქუჩის მანკიერი გავლენისაგან, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. უწყებათაშორისი ტურნირის ჩატარება მინი ფეხბურთში ხელს შეუწყობს სტრუქტურებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებას.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- ა/წლის 26 – 28 თებერვალს ქ.გორში ჩატარდა თავისუფალ სტილით ჭიდაობაში საქართველოს პირველობა 23 წლამდელთა შორის. აფხაზეთის სახელით შეჯიბრში მონაწილეობას იღებდა ექვსი სპორტსმენი: ლუკა ღვინჯილია 57 კგ, გიორგი შონია 65 კგ, ილო ზუბიაშვილი 70 კგ, ლუკა გურჩიანი 74 კგ, დათო კვაშილავა 74 კგ, ალექსი თოდუა 97 კგ.(ხარჯმა შეადგინა 1140 ლარი).

მიღწეული შედეგი:

I ადგილი:

- ლუკა ღვინჯილია - 57 კგ. წონითი კატეგორია;
- გიორგი შონია - 65 კგ. წონითი კატეგორია.

- ა/წლის 26 – 28 აპრილს ქ.ქუთაისში ჩატარდა თავისუფალ სტილით ჭიდაობაში 20 წლამდელთა საქართველოს პირველობა. აფხაზეთის სახელით შეჯიბრში მონაწილეობას იღებდა ექვსი სპორტსმენი: ლუკა ღვინჯილია 57 კგ, ლუკა გურჩიანი 74 კგ, დათო კვაშილავა 74 კგ, ალექსი თოდუა 97 კგ წონით კატეგორიაში.(ხარჯმა შეადგინა 840 ლარი).

მიღწეული შედეგი:

I I ადგილი:

- ლუკა ღვინჯილია - 57 კგ. წონითი კატეგორია;
- ალექსი თოდუა - 97 კგ. წონითი კატეგორია.

- 2024 წლის 24-25-27 ივნისს ჩატარდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის უწყებათა შორის ტურნირი მინი-ფეხბურთში, მონაწილეობდა 4 გუნდი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო (სამინისტროს მმართველობის სფეროსა და კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებები), აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო (სამინისტროს მმართველობის სფეროსა და კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებები), იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი (სამინისტრო და მის კონტროლს დაქვემდებარებული უწყება) და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (სამინისტრო და მის კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებები).

მიღწეული შედეგი:

- **I ადგილი** - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო;
- **II ადგილი** - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- **III ადგილი** - იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი.

საუკეთესო მეკარე - ირაკლი კალანდია, ბომბარდირი - ნუკრი გოგოხია, საუკეთესო მოთამაშე - გიორგი ბერიანიძე.

- 2024 წლის 09 – 10 დეკემბერს ქ.გორში ჩატარდა შეჯიბრი „თავისუფალ სტილით ჭიდაობაში - საქართველოს თასი (პირველობა) 23 წლამდელთა შორის“,

მიღწეული შედეგები:
ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა ლუკა ღვინჯილიამ 57კგ, წონით კატეგორიაში.

- 2024 წლის 19-20 ოქტომბერს, ქ.თბილისში, ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში, „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ამირან მაისურაძის და შოთა კიკაბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში“. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 248 მოჭიდავემ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, მათ შორის ხუთი მოჭიდავე ასპარეზობდა აფხაზეთის სახელით, (აფხაზეთის სახელით მოასპარეზე დაჩი რატიანმა დაიკავა III ადგილი, 62 კილოგრამ კატეგორიაში). პრიზიორ მოჭიდავეებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის მედლები და სიგელები, პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენებს, ასევე გადაეცათ თასები. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ამირან მაისურაძის სახელობის თასი გადაეცა - ტურნირის აღმოჩენას, ხოლო შოთა კიკაბიძის სახელობის თასი გადაეცა ტურნირის საუკეთესო მოჭიდავეს;
- 2024 წლის 26 დეკემბერს, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქვეპროგრამა „სპორტი გვაერთიანებს“ ფარგლებში განხორციელდა წარმატებულ სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა გამოვლენა-დაჯილდოების საზეიმო ღონისძიება. (სპეციალურმა კომისიამ გამოავლინა 8 სპორტსმენი - ლუკა ღვინჯილია, სარა ბენდელიანი, მარიამ მურღვლიანი, ნათია გადელია, ლუკა სილაგაძე, გურამი ვეკუა, ნიკა კვეკვესკირი, ირმა ხეცურიანი, ორი სპორტის მუშაკი - თენგიზ ნორაკიძე, კობა გეგია);
წლის წარმატებულ სპორტსმენებს და სპორტში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის მქონე პირებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

საზეიმო ღონისძიებაზე, გაიმართა წიგნის „აფხაზეთის სპორტული ქრონიკების“ მესამე, შევსებული და განახლებული გამოცემის პრეზენტაცია, რომლის ნაწილი გადაეცათ მოწვეულ სტუმრებს და სპორტსმენებს (80 ცალი).

მიღწეული შედეგები - ჩატარებული ტურნირი; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა.

„სუფთა გარემო - ჯანსაღი ცხოვრება“ (06 27 03 05)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 13,380.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 13, 379.87 ლარი, რაც გეგმის შესრულების 100 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

პროექტის მიზანია ავუმაღლოთ მოზარდებს ინტელექტუალური, გუნდური, შემეცნებითი და თავდაცვითი უნარები; ჯანსაღი ცხოვრების წესი ასევე საწინდარია სპორტის, მშვიდობასა და განვითარებაში. აქციაში მონაწილეობის მიზანია თავად შეიტანონ გარკვეული წვლილი ტერიტორიების დასუფთავების, გამწვანების, ეკოლოგიურად უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებაში.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი

- ა/წლის 12 აპრილს განხორციელდა ქვეპროგრამა - „სუფთა გარემო - ჯანსაღი ცხოვრება“ გარდაბნის რაიონის, სოფელ ვაზიანის დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში. კამპანიის - „აჩუქე წიგნი“ - ფარგლებში სკოლაში შეირჩა ფართი, სადაც განთავსდა სასაჩუქრე წიგნები და მოეწყო „ბიბლუსის“ კუთხე. დედამიწის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა გამწვანების აქცია. სააგენტოს მიერ შეძენილი იქნა ნერგები, რომლის დარგვის აქციაში მონაწილეობა მიიღო 50-მა

მოზარდმა, ასევე მოზარდებს საჩუქრად გადაეცათ სამაგიდო ასაწყობი ფაზლები. ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 1 300 ლარი;

- მსოფლიო გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით, 2024 წლის 9 ივნისს ღონისძიება გაიმართა დაბა წყნეთში, სადაც მონაწილეობა მიიღო დევნილთა ჩასახლებაში მცხოვრებმა აფხაზეთიდან დევნილმა 40-მა ახალგაზრდამ. ჩატარდა ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4 გუნდმა („გაგრა“, „წყნეთი“, „აფხაზეთი“, „სოხუმი“), სადაც პირველ ადგილზე გავიდა გუნდი „გაგრა“, მეორე ადგილზე- გუნდი „სოხუმი.“ ღონისძიების დასასრულს მოხდა მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება;

მიღწეული შედეგები-ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდა.

„სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამა (06 27 03 07)

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების, აფხაზეთის სახელით მოასპარეზე კლუბები/გუნდების ხელშეწყობა, მათთვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო სტანდარტის სავარჯიშო პირობების შექმნა.

თბილისში, სამგორის რაიონში, 81 372 კვ.მეტრის მიწის ნაკვეთზე აზომვითი სამუშაოებისა და პროექტის გეგმის შედგენა (დენისა და წყლის ინფრასტრუქტურის, მიწის ნაკვეთის გაწმენდა/დასუფთავების, შემოღობვის გათვალისწინებით, ტერიტორიაზე ერთი სათამაშო და ორი სავარჯიშო მოედნით, ერთი საჩოგბურთო კორტისა და ერთი რაგბის მოედნის გათვალისწინებით).

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი:

სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ ქვეპროგრამის „სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში, სპორტკომპლექსის აშენების მიზნით, სსიპ „ქონების მართვის სააგენტოსგან“ უზუფრუქტის წესით გადმოეცა მიწის ნაკვეთები, რომელიც მდებარეობს თბილისში, სამგორის რაიონში (01.19.33.019.234; 01.19.33.019.283).

ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა, რაც გამოწვეულია სააგენტოსგან დამოუკიდებელი მიზეზებით, კერძოდ:

მიწის ნაკვეთებზე სააგენტოსთვის გადმოცემისთანავე ფიქსირდებოდა თვითნებურად, შესაბამისი ნებართვის გარეშე აშენებული ორი მცირე შენობა, რის თაობაზეც ვაცნობეთ თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას. დღეის მდგომარეობით, გადმოცემულ მიწის ნაკვეთებზე ფიქსირდება თვითნებურად განთავსებული ოთხი მცირე საცხოვრებელი შენობა და ერთი დიდი სპორტული მოედანი

(შემოსაზღვრულია ბოძებით და განთავსებულია განათებები). სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლები სისტემატურად ახორციელებდნენ მიწის ნაკვეთებზე მონიტორინგს და ფაქტის აღმოჩენისთანავე რეაგირებისთვის ატყობინებდნენ შესაბამის უწყებას.

სპორტკომპლექსის აშენების მიზნით, სააგენტო აფხაზეთის ა/რ მთავრობასთან კოორდინირებულად ახორციელებდა როგორც შემავალ უწყებებთან ისე, სხვადასხვა ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს (მათ შორის მუნიციპალურ განვითარების ფონდთან). პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე, ვინაიდან სააგენტოს არ გააჩნია შესაბამისი ადამიანური რესურსი, შეხვედრების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჩამოყალიბებულიყო სხვადასხვა კომპეტენტური უწყებისგან დაკომპლექტებული საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა მრავალწლიანი პროექტის განხორციელებაში. ამ დროისთვის შესაბამისი ჯგუფი არ არის დაკომპლექტებული.

ასევე მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ ფართზე აზომვით სამუშაოებსა და პროექტის გეგმაზე ელექტრონული კონკურსის გამოცხადებისთვის საჭირო ვადა მინიმუმ 3 თვეს მოიცავს.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული პროექტი 2024 წელს ვერ განხორციელდა.

აღნიშნულზე გაგზავნილ იქნა წერილი (27.09.2024 წლის N1225971) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში, ქვეპროგრამაში დარჩენილი აუთვისებელი თანხის, 240 000 (ორას ორმოცი ათასი) ლარის საჭიროებისამებრ განკარგვაზე.

ქვეპროგრამა აფხაზეთის სახელით მოასპარეზე კლუბების, გუნდების ხელშეწყობა“ (06 27 03 08)

(გეგმა განსაზღვრულ იქნა 158,884.00 ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულება 149,043.15 ლარი, რაც გეგმის შესრულების 93,8 %-ია).

განსაზღვრული პრიორიტეტი:

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პრიორიტეტის მიზანი:

ქვეპროგრამა გულისხმობს იმ სპორტული გუნდების/კლუბების (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, ამერიკული ფეხბურთი) ფინანსურ მხარდაჭერას, რომლებიც ასპარეზობენ აფხაზეთის (აფხაზეთთან დაკავშირებული) სახელით. ქვეპროგრამის მიზანია საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა; სპორტის სხვადასხვა სახეობებში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა; სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის დონის ამაღლება; კლუბების/გუნდების ფინანსური სტიმულირება.

საანგარიშო პერიოდში პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების მოკლე აღწერა/მიზანი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად სპეციალურმა კომისიამ მხარი დაუჭირა გუნდების/კლუბების დაფინანსებას:

- საფეხბურთო კლუბი - „გაგრა“;
- საფეხბურთო კლუბი - „ფკ ცხუმი სოხუმი“;
- რაგბის კლუბი - „სოხუმი“;
- საკალათბურთო კლუბი - „ს.კ სოხუმი ჯორჯია 2023“ ;
- საკალათბურთო კლუბი - „სოხუმის კოლხა“;

- საფეხბურთო კლუბი - „დინამო სოხუმი“ ;
- საფეხბურთო კლუბი - „დინამო გაგრა“.

კომისიის გადაწყვეტილებით რაგბის კლუბი „სოხუმი“ – დაფინანსდა 22 395 ლარის ოდენობით, მაგრამ გუნდმა ვერ აითვისა 9 840 ლარი, კლუბის მიერ დაბრუნებულ იქნა აუთვისებელი თანხა 9 840 ლარი, შედეგად ქვეპროგრამის ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 148 655 ლარი.

მიღწეული შედეგი - სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაცია და განვითარება, ხელშეწყობილი გუნდები/კლუბები.

განხორციელებული საქმიანობის/ღონისძიების მოსალოდნელი შედეგები:

ახალგაზრდების შემეცნებითი განვითარების მიზნით, აფხაზეთიდან დევნილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენა და მათი შემოქმედების პოპულარიზაცია; მონაწილეობის მიღება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, პროექტებში, კონკურსებსა თუ ფესტივალებში. კულტურული, ახალგაზრდული თუ სპორტული ღონისძიებებისა და ტურნირების ჩატარება; სპორტსმენების ხელშეწყობა ჩემპიონატებში, პირველობებში, ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, პრიზიორ სპორტსმენთა გამოვლენა, მათი ხელშეწყობა. ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა პრიორიტეტულ პროცესებში; მრავალფეროვანი და საინტერესო პროექტების განხორციელება და მხარდაჭერა.